ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შავლიძე ილონა

სიყვარული და ჰუმანიზმი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად;

ხელმძღვანელი: დიასამიძე ეთერ- ფილოლოგიის ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

გამოჩნდა თუ არა ნ.დუმბაძე მაშინვე მიიზიდა მკითხველი თავისი იოლად გამოსარჩევი წერის მანერით, რომელშიც ლაღი იუმორი,სიყვარულის დიდი განცდა და ამიანური ჰუმანიზმი ერწყმის ერთმანეთს.ფასდაუდებელია მისი შემოქმედება ერთის მხრივ,როგორც გამორჩეული და ორიგინალური ხელწერის შემოქმედი და მეორე მხრივ როგორც დიდი ჰუმანისტი,რომლის მთელი შემოქმედებაც სიკეთის მქადაგებელია. მწერლის გულწრფელი შემოქმედება ყველა დროის მკითხველისათვის მისაღები და სასურველია. ჩვენ სწორედ ნოდარ დუმბაძის და მისი შემოქმედების პოპულარიზაცია დავისახეთ მიზნად, რათა ადამიანებში გაღვივდეს ის სიკეთე, სიყვარული და ჰუმანიზმი, რომელსაც ის ქადაგებდა.

love and humanism in Nodar Dumbadze's creativity

A n n o t a t i o n

Nodar Dumbadze promotly attracted his readers by easily distinctive writing manner as soon as he appeared. In his writing there is a mixture of happy – go- lucky humour, a huge sence of love and humanism. On the one hand his work is priceless because of his distinct, very own brand of his writing and on the other hand because of his humanism as all his work preaches kindless. His sincere and frank work is desirable and acceptable for the readers of all time. We actually aim to popularize Nodar Dumbadze and his work to help growing the seeds of love and humanism that he preached.

სარჩევი

შესავალი.....5

I თავი

ნოდარ დუმბაძე თანამედროვეთა მოგონებებში და ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში..... 7

II თავი

ჰუმანიზმი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში.....16

IIIთავი

პატრიოტიზმი

ა) სამშობლოს

თემა.....27

ბ) ინტერნაციონალიზმი.....36

IV თავი

სიყვარული ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში

ა) ქალ–ვაჟური სიყვარული.....40

ბ) დედის სიყვარული.....44

Vთავი

მზის სიმბოლიკა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში.....69

VI თავი

უტყვი პერსონაჟები.....60

დასკვნა.....67

გამოყენებული ლიტერატურა.....68

შესავალი

XX საუკუნის ქართული მწერლობის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა შემოქმედი, პროფესიით ეკონომისტი, მაგრამ მწერლობაზე შეყვარებული გურული ბიჭი, ნოდარ დუმბაძე. მწერალმა ჯერ საბავშვო ლექსებით დაიწყო, ასევე წერდა პატარ– პატარა მოთხრობებს, თუმცა მალე გადაწყვიტა, რომ უფრო სქელტანიანი რომანი უნდა დაეწერა და ასე გადაინაცვლა მან პოეზიიდან პროზაში. თავის პირველ რომანშივე („მე, ბებია, ილოკო და ილარიონი) გამოამჟღავნა განსაკუთრებულობა. მის მოთხრობებსა და რომანებში დრამატიზმს ამშვენებს თბილი და ხალასი იუმორი. მისი გმირები ხშირ შემთხვევაში მეამიტურად კეთილები არიან, მაგრამ მათ არ აკლიათ ცხოვრებისეული გამოცდილება და საშინელი წუთები, რომელიც ომს მოაქვს. რომანებში სასტიკ დრამატულ მომენტებთან ერთადაა შეზრდილი იუმორი, რომელსაც ყველაფრის მიუხედავად პერსონაჟები არ კარგავენ და რომლის გარეშეც ალბათ მათთვის რთული იქნებოდა.

ფასდაუდებელია მისი შემოქმედება, ერთი მხრივ, როგორც გამორჩეული და ორიგინალური ხელწერის შემოქმედი და მეორეს მხრივ, როგორც დიდი ჰუმანისტი, რომლის მთელი შემოქმედებაც სიკეთის და სიყვარულის მქადაგებელია.

ნოდარ დუმბაძეს „მზიან მწერალადაც“ მოიხსენიებენ და ეს არაა შემთხევითი. ის მზის სხივებით იყო გამთბარი და ციური სხეულიდან მიღებულ ამ ნათელს ყველას უზიარებდა, ყველას ათბობდა. უზიარებს და ათბობს დღესაც. მას უყვარს ადამიანები და მის შემოქმედებაშიც იშვიათად შეხვდებით ბოროტ პერსონაჟებს. ასეთი პერსონაჟებიც კი ბოლოს ინანიებენ და სიკეთის გზას ადგებიან. სწორედ ამ ღირსებების გამო, რომელიც მე აქ არასრულად ჩამოვთვალე, ნუდარ დუმბაძემ

ღირსეული ადგილი დაიკავა მწერალთა სამყაროში. სწორედ ამიტომ შეიყვარა ის მკითხველმა.

ჩვენ ნაშრომში ნოდარ დუმბაძის მრავალ ღირსებათაგან, შევეცადე ყურადღება ერთ–ერთზე, ჰუმანიზმსა და სიყვარულზე გამემახვილებინა, რითაც ასე გაჯერებულია მისი შემოქმედება და რასაც ასე გამეტებით აფრქვევს, დედამიწაზე დასამკვიდრებლად, დასამკვიდრებლად ადამიანებში.

ჩვენი სამაგისტრო თემის მიზანი ამ უაღრესად ჰუმანისტი მწერლის შემოქმედების განხილვაა თემატურ ჭრილში. კერძოდ წარმოჩენა მისი როგორც სიყვარულის მქადაგებელი და ჰუმანისტი მწერალისა. თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.**

თემის აქტუალობას განსაზღვრავს, ნოდარ დუმბაძის, ძლიერი ნიჭი და მისი უნარი, ასე მარტივად მაგრამ სიღრმისეულად დაგვიხატოს ღვთიური გრძნობა–სიყვარული. მიზნად დავსახე მეჩვენებინა ნოდარ დუმბაძის მიერ წარმოჩენილი ის ურთიერთობები, რომლის გარეშეც ადამიანი არ უნდა არსებობდეს. ესენია: დედა–შვილური, და–ძმური, მეზობლური, დეიდისა და დისშვილის, ქალ–ვაჟის, ახალგაზრდისა და მისი მდგმურის, ქართველისა და საქართველოს, ქართველისა და სხვა ერისა. მათ მიერ წარმოჩენილი ურთიერთობები სამაგალითო და სახელმძღვანელოა ნებისმიერი ადამიანისთვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. მწერლის შემოქმედება და მისი მოქალაქეობრივი მრწამსის აქცენტირება.

I თავი

ნოდარ დუმბაძე თანამედროვეთა მოგონებებში და ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში

„ნოდარ დუმბაძე ისე მოვიდა ლიტერატურაში, როგორც ცის კაბადონზე გაჩნდება ხოლმე მანათობელი ვარსკვლავი“– ასე იგონებს ნოდარ დუმბაძეს, მწერალი ბაგრატ შინკუბა და დასძენს, რომ ის თავისი განუმეორებელი ნიჭიერებით, მოულოდნელად გაიშალა მკითხველის წინაშე (დუმბაძე, 2011: 407).

ვინც ნოდარ დუმბაძეს მხოლოდ მისი წიგნებიდან იცნობს, ან მხოლოდ „ხალხში“ შეხვედრია მის თვალში ეს ადამიანი, ალბათ სიხარულის, სილაღის, მხიარულების განსახიერებაა. უმრავლესობამ არ იცის ბევრ აუტანელ ტკივილსაც რომ ატარებს მისი გული. „ჩემი პირველი, ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მასთან შეხვედრისა სწორედ ერთ ასეთ ტკივილთან არის დაკავშირებული.მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა. დიდ მწუხარებაში ვნახე,– გამხდარი, მხრებში მოხრილი, მეგობრებს გამოჰყავდათ ქუჩაში. მახსოვს როგორ უმტყუნა ნაბიჯმა სადარბაზოდან გამოსვლისას. ასეთი მწუხარება ჩვეულებრივ თრგუნავს ადამიანის ბუნებას. ზოგი ხატებს ამტრევს, ზოგს სამუდამოდ სძულდება „ბედნიერი კაცობრიობა“ და შურისძიების ფარული ოცნებით განაგრძობს არსებობას. ნოდარ დუმბაძე ადამიანთა იმიშვიათ მოდგმას ეკუთვნის, რომელთა სულშიც პირადი ტკივილი სხვებისთვის შვების მოტანის ცხოველმყოფელ წყურვილს აღძრავს“– წერს გურამ ასათიანი. (ასათიანი, მზიური ნიჭი. 1977:323)

ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე 1928 წლის 14 ივლისს ქალაქ თბილისში დაიბადა, მოსამსახურის ოჯახში. მამა– ვლადიმერ ივანეს ძე პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან საშუალო სკოლა ბაქოში დაამთავრა, დაუსწრებლად ისწავლა საინჟირნო ინსტიტუტში, ატარებდა დივიზიის მეთაურის წოდებას. საკვირველია და სწორედ ასეთ განათლებულ და დიდებულ კაცს დასწამეს ხალხის მტრობა. ნოდარ დუმბაძე 9 წლის იქნებოდა, ხოლო თვითონ ვლადიმერი 37 წლის იყო, როცა სიცოცხლე მოუსწრაფეს და გადაასახლეს, შემდგომ კი დახვრიტეს. ეს იყო 1937 წელს. მისი ოჯახიდან სამი ძმა– ვლადიმერი, გაბრიელი და ნიკოლოზი, აგრეთვე ორი რძალი იყო დაპატიმრებული (ბოჯგუა, 2015:100).

მწერლის დედა– ანა ივანეს ასული ბახტაძე იყო. მას წარჩინებით დაუმთავრებია ხონის მარიამის სახელობის სასწავლებელი და სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე გაუგრძელებია თუმცა, არ დაუსრულებია. 1924 წელს გათხოვდა და შეეძინა პირველი ქალიშვილი–ლეილა. მეორე ფეხმძიმობისას ანას, მწვავე რადიკულიტი ჰქონია, რის გამოც ნაყოფის მოშორება გადაუწყვეტია, მაგრამ მეუღლის მოხერხებითა და სურვილით, ანას გადაუფიქრებია. ამ გადაფიქრების წყალობით, მოევლინა ქვეყანას ნოდარ დუმბაძე (ბოჯგუა, 2015: 101).

1937 წლის მამის სიკვდილის შემდეგ მალე დედაც დაუტუსაღეს. ანა შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც სამშობლოსგან და შვილებისაგან შორს 10 წელი გაატარა. სწორედ ეს განშორება ასახა მწერალმა რომანში „მზიანი ღამე“, რითაც მკითხველს, დიდი სიამოვნების მოგვრასთან ერთად სინანულის ცხარე ცრემლებიც აღვრევინა.

ნოდარს და მის დას მზრუნველად მოევლინა ანას მეგობარი ქალი, სტუდენტი ოლია უგულოვა. ამის შესახებ ნოდარ დუმბაძის მამიდაშვილი, ნორა კოტინორი გვიყვება. სწორედ, მან შეატყობინა შექმნილი მდგომარეობა მწერლის ახლო ნათესავებს, კერძოდ სოფელ ზენობანში, სადაც ვლადიმერის მშობლები, ქიშვარდ დუმბაძე და ოლღა ქერქაძე, ცხოვრობდნენ. როცა ნოდარის დეიდამ, ნინო ღვინჯილიამ, შექმნილი მდგომარეობა გაიგო ნოდარი სოხუმში წაიყვანა. ლეილა კი მამის ძმასთან, ალიოშა დუმბაძესთან, თბილისში დარჩა. და–ძმამ ერთმანეთის დაშორებას ვერ გაუძლო, ამიტომ დეიდამ ლეილაც თავისთან წაიყვანა. და–ძმა

ერთხანს ერთად სწავლობდა მე–13 ქართულ სკოლაში. ბაბუა ქიშვარდის გადაწყვეტილების შემდეგ განშორება და–ძმას მაინც მოუწია. ნოდარი ბაბუა ქიშვარდიმ გურიაში წაიყვანა. სწავლაც აქ, ხიდისთავის საშუალო სკოლაში გააგრძელა. ხიდისთავი, რომელსაც ადრე ოცხანა რქმევია, ნოდარის მამის მშობლიური სოფელი იყო. ნოდარი მაშინ VI კლასში იყო. ბებია– ბაბუა მას მშობლების მაგივრობას უწევდნენ და ნოდარს კეთილსინდისიერად ზრდიდნენ. მშობლიურ სოფელში ცხოვრება, ბებია–ბაბუა, მეზობლები და საშუალო სკოლის დამთავრება დიდებულად აღწერა რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ეს რომანი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1959 წელს, „სოფლელი ბიჭის“ სათაურით; ხოლო შემდგომ რეჟისორმა გ. ლორთიფანიძემ დადგა სპექტაკლი, თენგიზ აბულაძემ კი გადაიღო კინოფილმი. რომანის შესაქმნელად შემოქმედებითი იმპულსი ნოდარ დუბაძისათვის ამერიკელი მწერლის– ერსკინ კოლდუელის „ჯორჯიელ ბიჭს“ მიუცია. (კოლ დუელი, მოთხრობები ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა, 1977 წელს) ამასთან დაკავშირებით მოგონებას გვაძლევს მეგობარი ემზარ კვიტაიშვილი: „კარგად მახსოვს მითხრა: მომბეზრდა ამ პატარ– პატარა ფელეტონების წერა, ტყუილად ვიხარჯები და ვიფანტები, ერთი მოზრდილი რაღაცის გაკეთებას ვაპირებდი და კოლდუელმა ბიძგი მომცა, უკვე ვხედავ ჩემს გმირს და ისიც ვიცი ჩემი ნამდვილი წიგნი როგორ დავწეროო“. (კრებული– მზიანი გულის მწერალი 1986; 270) აგრეთვე მეორე რომანი „მე ვხედავ მზეს“.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ნოდარი 1945 წელს, თბილისში წავიდა უმაღლესი განათლების მისაღებად. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში მხატვრული საღამო ისე არ ჩატარდებოდა, რომ ნოდარ დუმბაძეს მონაწილეობაარ მიეღო. სწავლა 1950 წელს დაასრულა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობას იწყებს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, ასისტენტად, იმავდროულად ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობას (ბოჯგუა,2015: 100).

უნივერსიტეტში მასთან ერთად სწავლობდა, გივი ბოჯგუა, რომელიც თავის მოგონებებში წერს: „ყოველ დღე ვხდებოდი ნოდარს, რომელიც ყველას მეგობარი

იყო და, რა გასაკვირია, მეც ვნატრობდი ჩემი მეგობარიც ყოფილიყო ეს უწყინარი, მორცხვი, მაგრამ იუმორისტული ნიჭით დაჯილდოვებული გულნათელი ახალგაზრდა, ჩემზე სამიოდ წლით უფროსი–თვალი მთელი უნივერსიტეტისა.

"კარგად მახსოვს ნოდარ დუმბაძის მოსვლა ჩვენს ლიტელატურულ წრეში და მისი პირველი ლექსებით გამოწვეული შთაბეჭდილება. მახსოვს ერთ დღეს კომკავშირის კომიტეტის ოთახში ვახტანგ კეკელიძემ შემოიყვანა ხუჭუჭა შავთმიანი, წარბებგადაბმული ახალგაზრდა და გვითხრა: ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია. ლექსებს წერს და ჩვენს წრეში უნდა შემოვიდესო– იხსენებს ზურაბ ჭუმბურიძე ჩვენი წრე სავსე იყო ფილოლოგებით, აღმოსავლეთმცოდნეებით დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებით, იყვნენ აგრეთვე ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, მაგრამ ეკონომისტი არავინ გვერია და უნდა გამოვტყდე მათ ლიტერატურულ ნიჭიერებაზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არ ვიყავით. მაგრამ ნოდარ დუმბაძემ თავისი პირველი ლექსებით დაამსხვრია ეს წარმოდგენა და გვაგრძნობინა, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე იყო ხალასი ნიჭი. ამ ლექსებმა იმთავითვე მიიპყრო ჯერ წრის წევრთა, ყურადღება შემდეგ ლიტერატურული საღამოების მსმენელთა მხურვალე ტაში დაიმსახურადა ბოლოს, როცა „პირველ სხივში" დაიბეჭდა, მკითხველთა საჯარო მოწონებაც ხვდა წილად.

როგორ მიყვარს ეს ქვეყანა– ტურფა ბაღი

მისი ბარი, მისი მთა და იალაღი...

რამდენი მაქვს დასაწერი, სასიმღერო,

რა ჩააქრობს სიყვარულის ძლიერ კოცონს...

ჩემი დედა, ჩემი ტკბილი საქართველო დაილოცოს... (ჭუმბურიძე,1988:87)

მალე უნივერსიტეტში დაიწყო გაზეთის „ჭინჭარი" გამოცემა, რომლის ფურცლებზეც ხშირად იბეჭდებოდა ნოდარ დუმბაძის მოთხრობები სწორედ მაშინ გაჩნდა მწერლის ფსევდონიმი ჯვები დუმბავა, რომელიც ნოდარ დუმბაძემ თუარ ვცდები სრულიად შემთხევით აირჩია სამეგრელოში გამგზავრების წინ (ჭუმბურიძე,1988:88).

ღარიბულად ეცვა ნოდარს, მაგრამ სუფთად, კოხტად. ერთი მუქი ლურჯი კოსტიუმი ჰქონდა, საგარეო. სცენაზე გამოსვლისას იცვამდა. ჰალსტუხი არ უყვარდა. პერანგის საყელოს ბოლომდე არ იკრავდა. იდგა სცენაზე მორიდებით, ხელებს არ იქნევდა, დინჯად და ტკბილად კითხულობდა საკუთარ ლექსებს, მქუხარე ოვაციებს ოდნავი თავდაკვრით უპასუხებდა და მერე დინჯად მიაბიჯებდა კულისებისაკენ. შეუწყვეტელი ტაშის გამო არცთუ იშვიათად უხდებოდა სცენაზე მობრუნება. ამეორებინებდნენ წაკითხულს. კითხულობდა ნოდარი და ჩვენს ავყვებოდით ხოლმე ჩურჩულით თავიდან ბოლომდე:

შენ ლალი ხარ, საქართველოს სილამაზე,

თბილისი და თბილი გულის ფეთქვა გქვია,

შენს ძებნაში საქართველოს ლაჟვარდ ცაზე

მზეს რამდენჯერ გზა და კვალი დაჰკარგვია.

გრძელდებოდა ლექსი და ჩვენც განვაგრძობდით ჩურჩულს:

შენ კრწანისზე სამას გმირთა არაგველთა

დაწყვეტილი გულის სიმებს შეჰხებიხარ,

შენ თბილისი თბილი სისხლის წვეთები ხარ.

მრთავდებოდა ლექსი, ჩვენც ვამთავრებდით და ოვაციებს ვუერთდებოდით:

შენს ძებნაში საქართველოს ლაჟვარდ ცაზე

მზეს რამდენჯერ გზა და კვალი დაჰკარგვია,

შენ თბილისი კი არა და ჩემო კარგო,

ის მაოცებს, ნატვრისთვალი რად არ გქვია?!

ტაში როცა განმეორებით უხმობდა, „თბილისს“ გაიმეორებდა ან სხვა ლექსს შეაშველებდა. ეს იყო „მე თბილისელი ბიჭი ვარ“. ნოდარ დუმბაძეს სხვა ლექსებიც აქვს ამოდ მოსასმენი და წასაკითხი: „ილია“, „გალაკტიონი“, „სოფლის საღამოები“ დედისა და დედის დღისადმი მიძღვნილი ლექსები და უამრავი საბავშვო ლექსი“ (ბოჯგუა, 2015: 103.)

ნოდარ დუმბაძეს მცირეწლოვანს დააკლდა მამის ხელი. მამისა და მშობლების მაგივრობა, როგორც აღვნიშნე, ბებია ოლღამ და მისმა მეზობლემა– ილიკო

ჩიგოგიძემ და ილარიონ შევარდნაძემ იკისრეს, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ყველაზე დიდი ამაგი მომავალი მწერლის პიროვნულ ჩამოყალიბებაში მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის მაშინდელ რექტორს– აკადემიკოს ნიკო კეცხოველს. გივი ბოჯგუა წერს, რომ ბატონი ნიკო მკაცრი, მომთხოვნიდა შეუბრალებელიც კი იყო. მას უყვარდა ლიტერატურითა და ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდები, ზრუნავდა მათ მომავალზე. განსაკუთრებით უყვარდა ნოდარი და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას. ნოდარ დუმბაძემ დიდი პატივი მიაგო თავის მოძღვარსა და მოამაგეს: მის ცხოვრებას, მეცნიერულ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ საქმიანობას მიუძღვნა მრავალი სტატია და სამადლობელი. სვეტა ამბროლაძე თავის მოგონებებში წერს: „დუმბაძე არ იყო ეკონომისტობისათვის დაბადებული და შეუთავაზებია (ნიკო კეცხოველს) ფილოლოგიურზე გადმოდიო, მაგრამ ნოდარს თვითონ უთქვამს უარი, უკვე მე–5 კურსზე ვარ, ბარემ დავამთავრებო“.

1951 წელს, ნოდარ დუმბაძემ ცოლად შეირთო ნანული გუგუნავა. სვეტა ამბროლაძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ მომავალმა მეუღლემ ნოდარი სცენაზე დაინახა პირველად. თმახუჭუჭა შავგრემანი ბიჭი გამოვიდა, მაგრამლექსი იმდენად მომეწონებია, ავტორის სახე უფრო არ დამახსოვრებია. დიდხანს მეგობრები იყვნენ ნანული და ნოდარი. ვერც მიხვდნენ ისე გადაიზარდა ყველაფეი სიყვარულში და ბოლოს ერთმანეთს ვერ უტყდებოდნენ. ვინ იცის როდემდე ივლიდნენ ასე, რომ არა ერთი შემთხვევა: ნანულიმდე ხმა მივიდა ნოდარს ერთი გოგო უყვარს, მაგრამ ნანულის გამო ვერ მოჰყავსო... გაბრაზდა, ცხელ გულზე მივიდა ნოდარისთან და ნოდარის უთხრა: თუ ვინმე გიყვარს, მე რა შუაში ვარ, ადექი და მოიყვანეო. ნოდარმა ალმაცერად შეხედა და ჰკითხა:

– შენ მე არ გიყვარვარ?

– არა... ჯერ შენ მითხარი და მერე მე გეტყვი.

– შენ თუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ მიყვარხარ, არ ყოფილა შენი საშველი. ახლა შენ მითხარი...

– შენც თუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ მეც მიყვარხარ, არც შენი საშველი ყოფილა მაშინ...

– აბა, ორივე უსაშველოები ვყოფილვართ და წამოი, გოგო ჩემსას..“ (დუმბაძე,2011: 372–374).

სამი შვილი შეეძინა: მანაზა, ზაზა და ქეთევანი. მათგან ზაზა 5 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნოდარ დუმბაძე 1967–72 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. 1972 წლიდან საქართველოს მწერალთა გავშირის გამგეობის მდივანი სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. იყო ჟურნალის „მოლოდაია გვარდიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1950 წლიდან ნოდარ დუმბაძის ლექსები და იუმორისტული მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. მოთხრობების პირველი კრებული „სოფლელი ბიჭი“ გამოქვეყნდა 1960 წელს. მწერალს აღიარება მოუპოვა პირველივე რომანებმა „მე ბებია ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“. ნოდარ დუმბაძეს რომანებისთვის: „ნუ გეშინია დედა“, „მზიანი ღამე“ და „თეთრი ბაირაღები“ 1975 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

ნოდარ დუმბაძეს თურმე „შავად“ წერა არ უყვარდა. როგორც თავად ამბობდა, „მარადისობის კანონზე“ 9 წელი იფიქრა, მერე კი ორ თვეში დაწერა. ნაწარმოებზე მუშაობისას ბევრს ეწეოდა– დღე–ღამეში თითქმის სამ კოლოფ სიგარეტს.

მისი ნაწარმოები „თეთრი ბაირაღები“ მან ექვს თვიანი ციხეში ყოფნის შემდგომ დაწერა. 1954 წლის 14 აპრილს ზემელზე მდებარე რესტორან „გემოში“ მკვლელობა მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ რესტორანში მყოფი 48 კაცი დააპატიმრა. მათ შორის იყო 26 წლის ნოდარ დუმბაძეც, რომლის პიჯაკზე სისხლის ლაქები აღმოჩნდა. ამის გამო მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად მიიჩნიეს. დაკავებიდან ექვსი თვის შემდეგ ძიებამ დაადგინა, რომ ნოდარ დუმბაძე უდანაშაულო იყო და გაათავისუფლეს. ნოდარ დუმბაძემ ციხეში გაიცნო ადამანები, რომლებიც შემდგომ „თეთრი ბაირაღების“ გმირებად იქცნენ. (ბოჯუა, 2015:120.) რეზო ამაშუკელი თავის მოგონებებში წერს: „ნოდარ დუმბაძეს წყნარად, შეუმჩნევლად მუშაობა უყვარდა. თავის ნაწარმოებებზე ბევრს არ ილაპარაკებდა. მახსოვს, როცა „თეთრი ბაირაღების“ წერა დაასრულა, შეხვედრისას მითხრა: „მე რომ ძველი ყაჩაღი ვარ და ახლა ისეთ რამეს მოგცემ წასაკითხად, რაც ჩემზე უკეთ არავინ იცისო“. ამაშუკელი აქვე

იხსენებს, რომ პოეტი შექებასა და კრიტკასაც ერთნაირი კეთილი სიცილით პასუხობდა. მარტო რომ დარჩებოდა, სადღაც შორს მიმართული მისი მზერა საოცრად სევდიანი ხდებოდა. ხშირად მიფიქრია, ნოდარ დუმბაძის იუმორი სევდისაგან გაქცევის საშუალებაა–მეთქი, მას ხომ ამდენი ტკივილი და უბედურება არგუნა ბედმა...“ (დუმბაძე, 2011: 368–369)

1979 წელს, სოხუმში მომიხვდა ჩასვლა– წერს გივი ბოჯგუა.“მითხრეს, რომ ნოდარს განმეორებია ინფაქტი და ქალაქის მეორე საავადმყოფოში იწვა. მონახულება მომინდა. მორიგე ექთანმა ცივი უარი მტკიცა–არ შეიძლება, შეწუხდებაო. თბილისელობა რომ ვუხსენე, შევეცოდე, კარებამდე მიმაცილა და წამჩურჩულა: თუ კარგ ბუნებაზე იქნა, ხვალ ორიოდე წუთით შეგიშვებ, ოღონდ სხვა კარიდან, მალულადო. მადლობა მოვახსენე მაგრამ არ მივსულვარ. ვაითუ ჩემი მისვლით ვავნო– მეთქი მის ჯანმრთელობას. საბედნიეროდ, მაშინ გადარჩა. თუმცა უკვე მესამე ინფაქტმა იმსხვერპლა 56 წლის მწერალი. როგორი დამთხვევაა დედამისიც ამ ასაკში გარდაიცვალა. ნოდარ დუმბაძე 1984 წელს გარდაიცვალა“ (ბოჯუა, 2015:120).

დაკრძალულია თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიურში“, რომლის აშენების იდეა თავად ეკუთვნოდა. საქართველოს კათოლიკოს– პატრიარქის, უქმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა– კურთხევით, ნოდარ დუმბაძის ნეშტი 2009 წლის 14 სექტემბერს მზიურიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს (ნიკოლეიშვილი, 2013:371).

„ნოდარის გული მხოლოდ მისთვის არ სცემდა და მხოლოდ მის სხეულს არ ათბობდა, ამიტომაც დაიღალა იგი ასე მალე. მისი სიცოცხლის ხე „ბაჯაღლო მზით“ დამწიფებულ ნაყოფს ისხამდა და მისი ფერებით იყო ავსებული. ამიტომაც ასე „დაუნდობლად“ კრეფენ და ესწრაფებიან ამ ნაყოფს. ის არ ილევა და არც არასოდეს დაილევა, იგი „ბაჯაღლო მზისგანაა“ დამწიფებული“ (დუმბაძე, 2011:365–366).

თავად ათასგვარი ჭირ–ვარამით გატანჯული მწერალი თავისი შემოქმედებით ადამიანებს მუდამ ტკივილს უმსუბუქებდა, გულს უთბობდა, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის გრძნობებს უღვივებდა, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა და ადამიანურ მზაკვრობათა დაძლევაში ეხმარებოდა. იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ

ამ ღვთიური ვალის აღასასრულებლად იყო ამ ქვეყნად მოვლენილი და წარმატებით შეასრულა კიდეც თავისი მიწიერი მისია. ამიტომ შეიყვარა გულით მილიონობით ადამიანმა სიკეთითა და სინათლით გამზიანებული პოეტი და მისი დიდი შემოქმედება (ნიკოლეიშვილი, 2002: 518).

„შენი სახელი შორსაა გავარდნილი“– წერს ელგუჯა მაღრაძე. “იგი კარგა ხანია გასცდა სამშობლოს ზღუდარებს. შენ კარგად გიცნობენ ინგლსში, ამერიკასა და იაპონიაში. შენ მარტო ქართველი და რუსი კრტიკოსებისა და რეცენზენტების ამარა არ დარჩენილხარ. შენ სხვა კონტინენტების, სხვა ჯურის და რასის დამფასებელიც იშოვე, მოინადირე და შეიძინე. შენ ფეხბურთელივით სიცოცხლეშივე მოიპოვე სახელი, დიდება და სწრაფად მიუახლოვდი კვარცხლბეკს. შენი სახელი ხმიანობს არა მარტო ლიტერატურაში, შენ თეატრალურ სამყაროშიც შეიჭერი. შენ აღარ გჭირდება ხოტბის შესხმა და წარდგენა“(მაღრაძე,1983:514).

თხრობას ნოდარ დუმბაძის ცხოვრების ამ ნაწილისას, ისევ ბაგრატ შინკუბას სიტყვებით დავასრულებ: „ჩვენთან, ხალხში ამბობენ: „ვის სიტყვებსაც იხსენებენ, ისინი მუდამ ჩვენს შორის არიან“. ნოდარ დუმბაძის წიგნების გადაკითხვისას, ყოველთვის, ყველა ჩვენგანი მათში რაღაც ახალს იპოვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ დიდი ხნის სიცოცხლე უწერიათ“(დუმბაძე, 2011: 412).

დიახ, მართალია ნოდარ დუმბაძე ცოცხალი არაა, მაგრამ ცოცხლობს და მარად იცოცხლებს მისი შემოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანა არც თუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა, თავისი სულიერი მემკვიდრეობით მან წარუშლელი კვალი გაავლო მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში, როგორც ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების ღირსეულად გამგრძელებელმა თვითმყოფადი ნიჭის შემოქმედმა.

II თავი

ჰუმანიზმი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში

ჰუმანიზმი ნოდარ დუმბაძის შემოქმედების საფუძველთა საფუძველია, რომელსაც ბოროტებს დათრგუნვა და სიკეთის გაძლიერება შეუძლია. „ნოდარ დუმბაძის ე.წ იდეალიზებული გმირებისთვის ჰუმანიზმი ცხოვრების უღალატო კრედოა, რასაც ისინი, პირველ ყოვლისა, თავიანთი პრაქტიკული შემოქმედებით გამოხატავენ და არა სიტყვიერი დეკლარაციებით“. (ნიკოლეიშვილი, 2018:613)

მთელი მისი მოთხობები ჰუმანიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის ნათელი შუქით არის გაბრწყინებული, რაც თავად ავტორის შინაგანი ბუნებიდან არის. მისივე სიტყვებით, რომ

ვთქვათ (ზაზა ნაკაშიძის დედას ათქმევინა, რომანში „თეთრი ბაირაღები) „ადამიანი ფრესკა არ არის... რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება.“ უნაკლო ადამიანი, ხომ მართლაც არ არსებობს და ნოდარ დუმბაძეც ამას გვიქადაგებს, რომ ადამიანი გვიყვარდეს მისი ლამაზი მხრიდან, მისი იმ ნაწილით, რომელიც ყველაზე ლამაზია, ყველაზე ჰუმანური და ღვთიურია.

ამ ერთგვარი თეორიის საილუსტრაციოდ „თეთრი ბაირაღები“ ავიღოთ, სადაც პერსონაჟთა უმეტესობა ბოროტმოქმედი და ნაძირალაა. ნოდარ დუმბაძე ერთგული რჩება მისივე შემოქმედების საფუძველთა საფუძვლად ქცეული პრინციპისა და უდიდესი ჰუმანიზმითა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობით ცდილობს ჩაწვდეს ადამიანის სულს და იგი იმ კუთხიდან დაანახოს, საიდანაც ყველაზე ლამაზი ჩანს. მწერალი სიკეთისა და მაღალზნეობრიობის რომანტიკულად განმადიდებლის როლში გამოდის, „სენტიმენტალური ჰუმანიზმის“ პოზიციებიდან ხედავს და აფასებს ცხოვრებისეულ მოვლენებს, დაუცხრომელი ჟინით ეძებს ბოროტების სიკეთედ გარდასახვის იდეალურ გზებს, ყველანაირად ცდილობს თვით ყველაზე ნაძირალა ადამიანის სულშიც კი პიროვნული კეთილშობილებისა და ზნეობრივი სიწმინდის გრძნობათა გაღვივებას (ნიკოლეიშვილი, წელი არ აქვს მითითებული:388)

სწორედ ეს განსაზღვრავს იმ თითქოს პარადოქსლ მოვლენას როდესაც ქურდისა და კაცის მკვლელის მიმართაც კი სიბრალური გვებადება; „თეთრი ბაირაღების „ გმირმა ტიგრანამ კაცი მოკლა და მას მართლმსაჯულება თავისას მიუზღვავს, მაგრამ მწერალი უფრო ღრმად იხედება ამ კაცისმკვლელის სულში, ნუთუ იქ ბოროტებისა და სენტიმენტალური ჰუმანიზმის მეტი არაფერი არაა?

„თეთრი ბაირაღების“ მწერალმა იცის, რომ ადამიანები ბოროტად არ იბადებიან, მდგომარეობის გამოწვეულ ბოროტებას უმალ ცვლის ადამიანის კეთილი საწყისი, როგორც კი ადამიანის მდგომარეობა შეიცვლება... ნოდარ დუმბაძეს არ სჯერა ადამიანის სულის უიმედო გახრწნის. თვით ბოროტმოქმედ ადამიანთა სულშიც ტოვებს ადგილს კაცთმოყვარეობისათვის, ზნეობრივი გაწმენდისა და კეთილის გამარჯვებისათვის“– წერს სერგი ჭილაია (ბოჯგუა,2015:105). მწერლის ამ რომანში ყველაზე მეტად გამოჩნდა მისი შემოქმედებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ტენდენცია– ყოველ ადამიანში მოძებნოს „ღვთიური ნაპერწკლის“ (ნ. დუმბაძის სიტყვებია) გამოვლინება. სწორედ ეს ღვთიური ნაპერწკალი ათბობს და აძლევს აზრს ცხოვრებას. მწერალმა შეძლო ყოველგვარი სიყალბის

გარეშე, უდიდესი სიმართლითა და დამაჯერებლობით, ეჩვენებინა თავისი პერსონაჟების რთული სულიერი სამყარო და ისინი იმ კუთხიდან დაენახებინა მკითხველისათვის, საიდანაც გამორჩეულად გულწრფელნიც არიან, სიკეთით მადლფენილნიცა და ადამიანურნიც. მართალია, ბევრი მათგანი ზნედაცემულლი და ბოროტმოქმედი პიროვნებაა, მაგრამ მწერალი მათშიც ახერხებს იპოვოს ეს იდუმალი „ღვთაებრივი ნაპერწკალი“ და კვლავ აღანთოს და გააღვივოს იგი.

ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის დრამატიზმს განსაკუთრებულ სიმძაფრეს მატებს ის, რომ ზაზა და მისი მეგობრები შემთხვევით, უდანაშაულოდ მოხვდებიან ციზეში და უიმედოდ ცდილობენ სიმართლის დამტკიცებას. გამომძიებელს კი ეჭვი არ ეპარებოდა რომ საქმე საგულდაგულოდ ჰქონდა გამოძიებული და ცდილობდა ბრალდებულისთვის დანაშაული ეღიარებინა. მისთვის არ არსებობდა „პატიოსანი სიტყვა“, რომელსაც ებღაუჭებოდა ზაზა. ამიტომ რომანის მთავრი გმირი რწმენის კატასტროფის უფსკლულთან დგება, თუმცა ხელჩაქნეულობის დროს დედა შეხვდა და სულის ხსნის გზაც გამოჩნდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ნოდარ დუმბაძე, ისევე როგორც ბევრ სხვა ნაწარმოებში, „თეთრ ბაირაღებშიც“ განსაკუთრებული სიყვარულით ძერწავს დედის ხატს, როგორც უმაღლესი ზნეობრივი სიწმინდის, ჰუმანიზმის, ადამიანური კეთილშობილებისა და ქრისტიანული სათნოების იდეალიზირებულ ხორცშესხმას.

„თეთრი ბაირაღები“ ნოდარ დუმბაძის სხვა რომანების მსგავსად, სიმართლის, კეთილის გამარჯვებით მრთავდება. ადამიანის სულში ქრისტიანული სათნოებისა და სიკეთის გრძნობების გაღვივება, პიროვნების ზნეობრივი სრულყოფა და კაცთმოყვარეობა–აი, უმაღლესი იდეალი და მწერლური მიზანსწრაფვა ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედებისა.

მწერლის ზნეობრივ–ფილოსოფიური კრედო ადამიანთან ურთიერთობის შედეგია, რომელიც შეუძლებელია „გულისყურისა და მოთმინების“ გარეშე. ზუსტად ამ აზრს ანვითარებს იგი მოთხრობებში: „დედა“, „ბოშები“, „კუკარაჩა“, რომანში: „ნუ გეშინია დედა“.

კაცთმოყვარეობისა და ადამიანთა ურთიერთობის მთელი ზნეობრივი გამოვლინებაა რომანში „კუკარაჩა“. დატუქსული კუკარაჩა უფროსს მშრალი კანონმდებლობისათვის მიუღებელ ერთ– ერთ შეგონებას ეუბნება: „პირადად მე ინგას ამ ქვეყნისაკენ შემობრუნება უფრო დიდ საქმედ მიმაჩნია ვიდრე იმ შენი დამპალი მურტალოს დაჭერა“. მაგრამ ბოროტება დაუნდობელია, კუკარაჩა მსხვერპლი ხდება იმ ადამიანისა, რომელსაც მან სიცოცხლე აჩუქა და შეიბრალა.

ახალგაზრდობის სულიერ–ზნეობრივი აღზრდის პრობლემები ნოდარ დუმბაძის მორალური კრიტერიუმების გამოვლინებაა. ახალგაზრდის აღზრდა მწერალს მიაჩნია „ ყოველდღიური ზრუნვის, უმაღლეს დონეზე შესწავლის, სრულყოფის, გონიერების თვალით განჭრეტისა და საყოველთაო საქმედ“. (დუმბაძე, შთაბეჭდილებები, წერილები და გამოსვლები; 102) კუკარაჩასაც ბავშვების მორალური აღზრდა, „სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვა“ ევალება. ერთი შეხედვით ეს უცნაური მოვალეობაა მილიციელისთვის, თუმცა რომანში არაა შემთხვევითი. როგორც კუკარაჩას ცხოვრებით ვრწმუნდებით, ამ მაღალი ზნეობის მქონე ადამიანისთვის ეს საქმე არაა უცხო. იგი მართლაც ყველაფერს აკეთებს რომ მისი პატარა მეგობრები ცუდ გზას არ დაადგნენ. ამას რომანის მთავარი გმირი შემთხვევით არ აკეთებს. მას უყვარს ბავშვები.

– „თქვენ რომ ბრძანებთ, კუდში დასდევ ჩემს თამაზსო, ქე მიხდება ხშირად ჯაშუშივით ბავშვების კუდში დევნა, მაგრამ რა ვქნა? ყველაფერს მათი სიყვარულით ვაკეთებ, თორემ ჩემისთანა ყანის მუშას ან მჭედელს მთავრობა სად იპოვის?“

თავად ავტორს, ნოდარ დუმბაძეს, უყვარდა ბავშვები, რაც მის საბავშვო ლექსებშიც გამოიხატება.

ადამიანთა სიყვარულის ცხოველმყოფელური ძალა იგრძნობა თითქმის ყველა ეპიზოდში. აქილიკებენ ერთმანეთს, უერთმანეთოდ ცხოვრება კი არ შეუძლიათ. ილიკოს შურისძიებაში (მურადას მოკვლისას დეპეშის გაგზავნა) გამოიხატა მისი საოცარი წყურვილი ზურიკელასა და ილარიონთან ერთად ნადირობისა. ილიკო იუმორით ახვედრებს ამ აზრს თავის საყვარელ ადამიანებს. მათი სიყვარული და ურთიერთმისწრაფება ჩანს კიდევ ბევრ ეპიზოდში. გავიხსენოთ, „სისხლი სისხლისა წილ“. ილიკოს უნდა ღვინო მოპაროს ილარიონს და ზურიკელას ჭური დაანიშნინა. ილიკო ცარიელ ქვევრს მიადგა, ასე მოაწყვეს ზურიკელამ და ილარიონმა. ილიკო ილარიონის ხმის გაგონებისას ჭურში ჩავარდება. ერთია ამ ეპიზოდის იუმორისტული მხარე მაგრამე მეორე მათი ურთიერთმისწრაფება, რომელიც შემდეგ ეპიზოდში ვლინდება:

„ჭურიდან რომ ამოძვრა ილიკო, ისე ღრმად ჩაისუნთქა ღამის ნოტიო ჰაერი, გეგონებოდათ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი ყოფილიყოს. მერე გუდა აიღო, საჩვენებელი თითი მოღუნა და გვითხრა:

– მაჯობეთ და ვკაკვავ თითს– მერე გაბრუნდა და ბუზღუნით გაუდგა გზას.

– სად მიდიხარ, უმადურო, არ დაგვლოცავ? – ჰკითხა ილარიონმა.

– აგაშენათ ღმერთმა, მადლობელი ვარ, ძალიან პატივი მეცით? –თქვა ილიკომ.

– მასე არა, ღვინით! მოთხარე, ბიჭო ეს ჭური! –მითხრა ილარიონმა და ღვინით სავსე ჭურზე მიმითითა. სანამ ჭურს მოვთხრიდი, ილიკოს ნაჩუქარი თითუნი ამოვიღე და გახვევა დავუწყე.

– არ მოწიო, ბიჭო, პილპილიანია!– გამაფრთხილა ილიკომ.

– მამლის უკანასკნელ დაკივლებამდე ისმოდა ილარიონის ჭურის თავზე სადღეგრძელოები, ხმამაღალი კოცნა და სიმღერა:

სამი ძმანი გურულები,

მუშაობდნენ ყანასა

სამუშაოც კარგი ჰქონდათ

დასძახოდნენ ნანასა.

დილით მე და ილარიონი ბარბაცით მივათრევდით სახლში ილიკოს და ღვინით სავსე გუდას.

აი კიდევ: ილარიომა თვალის ოპერაციის შემდეგ ერთი თვალი დაკარგა და შუშის თვალი ჩაუსვეს. სოფელში ილიკო „ბრუციანთან“ შეხვედრა აფიქრებს. ილარიონმა და ზურიკელამ ეს ამბავი დაუმალეს. გაიმართა დაძაბული ქეიფი, ილარიონს ეშინოდა რომ ილიკო დასცინებდა. ილიკო მიმხვდარია და „უკბინა“ კიდეც. ილარიონს ეწყინა და შეწუხებული კიბეზე ჩამოჯდა. ამ დროს ილიკოს მოქმედება და მისი სიტყვები მზეს ამოიყვანს და დაანახებს ნამდვილ გრძნობას:

„– ერთი სიკვდილი გავათავე რომ გავიგე,– დაიწყო ილიკომ,–მაშინ მეორე თვალი დამფსებოდეს , თუ მართალს არ ვჩიოდე, გეყურება, შენ? მე და შენ რამ გაგვყო, ბერიკაცო; შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიციგნე, არ მეგონა თუ გეწყინებოდა, შენც კი მიძახი ბრუციანს, მაგრამ ხომ არ მწყინს მე?ცალთვალა იყო, შე უპატრონო კუტუზოვი, მაგრამ დედამიწის გულში რა იდვა იმას ხედავდა, რა მოხდა, ერთი თვალი, შე გლახა, მაგი კიარა ორივე თვალი რომ დაგეფსოს, რა დაგვკარგავს, ჩავკიდებთ ერთმანეთს ხელს და ვივლით ამ დუიაზე. ვერ ვივლით და აგერ ბიჭი გვათრევს. ჰაიტ, შე გლახავ, შენ!– თქვა ილიკომ და მხარზე ხელი დაჰკრა ილარიონს.

ილარიონი ადგა და ოთახში შევიდა. ილიკო არ განძრეულა.

ცოტა ხნის მერე, ილარიონი გამობრუნდა ოთახიდან, მას ხელში რაღაც გახვეული ეჭირა:

– ილიკო! – თვა ჩუმად ილარიონმა.

– რა იყო, ილარიონა?– თქვა უფრო ჩუმად ილიკომ.

– აგი ტარანია კარგია ღომზე და ადესაზე!

– ძალიან გემრიელია,– თქვა ილიკომ.

– შენ ჩამოგიტანე! –თქვა ილარიონმა.

– ვიცოდი, რომ ჩამომიტანდი. – თქვა ილიკომ. მერე გამოართვა შეხვეული, ადგა და წავიდა.

– მოიცა, გაგაცილებ! – თქვა ილარიონმა.

– კარგი გამაცილე. – უთხრა ილიკომ. ისინი ერთად გამოვიდნენ ეზოდან და გაუყვნენ შუკას. მე აღარ გავყევი მათ. დავრჩი ილარიონის ეზოში და ბედნიერი ვუცქერდი მათ ფართო, ოდნავ მოხრილ ბეჭებს, რომლებიც წინ მიიწევდნენ ორღობეში და თანდათან დნებოდნენ ღამის წყვდიადში“.

ამ ეპიზოდს არაფრის დამატება არ სჭირდება, უბრალოდ მოხიბლული რჩებით ადამიანთა გულის სითბოთი. ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი სითბოთი. ეს სითბო და მისი ენერგია არ გაიზომება. ეს სითბო მანათობელია, რომელიც წაკითხვისას ყველა მკითხველს ათბობს და მისი სხივებით გასხივოსნებული თავადაც სიკეთის მატარებლად იქცევა.

რომანებში სიყვარულის თავგამოდებული მტკიცება არ გვხდება. გმირები განუწყვეტლივ გესლავენ ერთმანეთს. ბებია ყველას განსაკუთრებულად წყევლის და ამით მის ყოველ თბილ სიტყვას განსაკუთრებული ფასი ედება. მწერალი ეძებს ადამიანის გულს, ურთიერთობის ყველაზე ფაქიზ უჯრედს. მწერლის შემოქმედებაში თითქოს განსაკუთრებულად ისმის გულის გუგუნი, ადამიანის ერთად ყოფნის აუცილებლობას რომ შეახსენებს.

დუმბაძის მოთხრობების მთავარი სათქმელი გახლავთ ის, რომ ადამიანისადმი სიყვარული სიკეთის კეთება ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ერთმანეთისადმი ზრუნვა მოყვასის ჭირისა და ლხინის გაზიერება, სიყვარულის ფრქვევა ალამაზებს და აყალიბებს კიდეც ადამიანს ჭეშმარიტ მოქალაქედ.

ნოდარ დუმბაძე ადამიანურ ყოფას იდეალიზებურად წარმოგვიჩენს, ისე ამაღლებულია ეს ურთიერთობა, რომ მხატვრული რეალობა და ცხოვრებისეულობა მკვეთრადადც კი ემიჯნება ერთმანეთს. ამის მაგალითია, ბაბილოს მიერ სოსოიასა და ხატიასთვის სიმინდის ჩუქების ამბავი, დათიკო ბრიგადირის თავგანწირვა ხატიას გადასარჩენად, თავად უზომოდ გაჭირვებული სოფლელების მიერ სოსოიას რუსისთვის რძის მიცემა და აშ. საკამათო აქ არ არის ის, რომ ადამიანთა მოქმედება, მათი ზნეობრივი სახე, ხაზგასმულად რომანტიზებულია. მაგრამ რაც მთავარია, ასეთი იდეალიზაცია არასოდეს გადაიზრდება ყალბ პათეტიკაში,

ღრმად დამაჯერებელია და პიროვნების ზნეობრივი სრულყოფისა და გაკეთილშობილებისაკე არის მიმართული. ნოდარ დუმბაძე ცხოვრებას ხშირად ისე კიარ ხატავს, როგორიც იგი სინამდვილეშია, არამედ ისე როგორიც უნდა იყოს– ამაღლებული, რომანტიზებული, უანგარო სიკეთითა და მოყვასისადმი სიყვარულით გაბრწყინებული“.

გულს, რომელსაც სიყვარული უწამებია, რომლის სასიცოცხლო მოთხოვნილება ადამიანური სითბოს გამოსხივებაა, ყველა გამოცდა შეუძლია ჩააბაროს. ის ვლინდება სხვადასხვა სიტუაციაში, სამამულო ომის დროსაც კი. რომანის ამ ნაწილში სადაც სამამულო ომის დაწყება და შემდგომ ჯარისკაცებისთვის ნივთების გაგზავნაა აღწერილი, ილიკო უყოყმანოდ გადაწყვეტს ახალთახალი ნაბადის ფრონტზე გაგზავნას. ილარიონი კი თავის ახალთახალ ჩექმებს მოიტანს. ეს სახალხო სითბოა, რომელიც ადამიანთა გულებიდან მოემართება და დაუძლეველ ენერგიად იქცევა, ადამიანური თანადგომისა და სიყვარულის ენერგიად. მთელ ამ ამბავს ისიც აგვირგვინებს, რომ ბებიაც გადაწყვეტს თავისი სასთუმალიდან მატყლი გამოიღოს:“ ლეიბიდან ბღუჯა –ბღუჯა მატყლი გამოაძრო, ფეხაკრეფით გავიდა სალაროში, საცეცელი გამოიტანა, ბუხარს ცეცხლი შეუკეთა და დაგებულ თხის ტყავზე მოიკალატა. საჩეჩელი მუხლებს შორის დაიდგა, მატყლი აიღო და საჩეჩელს ნემსებზე ჩამოჰკრა, მერე მთელი ტანით ხელების მოძრაობასთან ერთად რწევა დაიწყო, თან რაღაცას ჰბუტბუტებდა“. საქმეში გართული ბებია იმ მგლოვიარე დედაბერს ჰგავდა , რომელსაც წინ შვილის ცხედარი ესვენა და ჭაღარა თმებს ბღუჯა– ბღუჯა იგლეჯდა დამჭკნარი ხელებითო, მგრძნობამორევით ამბობს ბებიის შესახებ ზურიკელა. შემდეგ კი უმატებს: „ ლოგინზე წამოვჯექი, დიდხანს ვუცქედი ბებიას და თვალებზე ცრემლმომდგარი ვფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებიამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით ახლა ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა“. (ღვინჯილია,1987:82). სიყვარულის ამგვარ გარემოში აღზრდილ ზურიკელას თავადაც არ დაელევა სიყვარული.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ჰუმანისტური თვალთახედვა ახალი წახნაგებით გამოიხატა „მარადისობის კანონში“. მწერლის უმთავრეს მიზანსწრაფვად ამჯერადაც კვლავინდებურად რჩება ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის სახის შექმნა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ „მარადისობის კანონის“ ბოლოს მწერალმა ნაწარმოების უმთავრესი სათქმელის გააზრება გულს დაუკავშირა, გულს, რომელიც ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ყველგან და ყოველთვის ადამიანური სიწმინდისა და სათნოების სიმბოლოდაა ცნობილი. მწერლის ყოველი სიტყვა, მისი შემოქმედებითი ნიჭის ყოველი გამონათება, პირველ ყოვლისა

სწორედ გულიდან იღებს სათავეს, გულიდან, როგორც სინათლისა და გრძნობიერების უწმინდესი წყაროდან. ამიტომაც ამბობს რომანის მთავარი გმირი უარს ხელოვნურ გულზე, მიუხედავად იმისა, რომ მტკივანი და ავადმყოფი გულის შეცვლა ხელოვნური გულით სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი საიმედო გზა შეიძლება გახდეს. ბაჩანა რამიშვილს, ქვეყნისა და მოყვასის სიყვარულით გულანთებულ კაცს ხელოვნური გულით საფუძველგანმტკიცებულ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია. ამიტომაც ეუბნება მას პროფესორი: „ თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ. ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთო“. ეს სიტყვები, ფაქტობრივად, მთელი მისი ცხოვრების შეფასებაა.

ნოდარ დუმბაძეს, თავის რეალურ ცხოვრებაშიც დაჭირდა გულის გადანერგვა. თურმე ამ თემაზე უკრაინელი მწერალი ვიტალი კოროტიჩთანაც ჰქონია დიალოგი. გაგიჟდი?– უპასუხია ნოდარს. „ერთ წამსაც ვერ გავძლებდი, რომ მცოდნოდა–სხვისი გული მაქვს...“ „იგი საკუტარი გულით ცხოვრობდა და ცხოვრობდა მთელი შეგრძნებით, დაძაბულობით, თავის შეუბრალებლად“– წერს კოროტიჩი (კრებული „მზიანი გულის მწერალი“, 1986:160).

საავადმყოფოში გატარებული დრო ბაჩანასთვის მის მიერ განვლილი ცხოვრების შეჯამების ხანადაც იქცა. მან ზნეობრივი ანალიზი გაუკეთა მთელ მის ცხოვრებას, ყველაფერი დადინჯებული გონებით აწონ დაწონა და, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, განსაცვიფრებელ აღმოჩენამდე მივიდა– მარადისობის კანონის აღოჩენამდე. ამ კანონის აზრი ბაჩანას განმარტებით, იმაში მდგომარეობს, რომ „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვარ ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთამეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დასუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“

ამ სიტყვებში სიღრმისეულად ვლინდება, არამარტო „ მარადისობის კანონის“ უმთავრესი სათქმელი და მიზანსწრაფვა, არამედ მწერლის მთელი შემოქმედების ძირითადი არსი და სულისკვეთება. მწერალი ადამიანებს ნათლად მოუწოდებს რომ ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდონ, შეეშველონ მძიმე ტვირთის ზიდვაში და შეძლონ სიყვარულის გზიარება.

ნოდარ დუმბაძე გულიანი და მგრძნობიარე ადამიანი იყო. თავის ერთ–ერთ წერილში წერს თუ რა იგრძნო, როცა შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა ჩაამთავრა. ვწერ ლექსის რამდნეიმე სტრიქონს:

„...ჩანს ოდაზე კოლხთა ღერბი, ღერბი სიმინდ–ჯიქურის,

და აფხაზურ ცხენის ნალი ავგაროზად მიკრული“.

„გულში რაღაც უსაშველო სითბო ჩამეღვარა, ავდექი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვძებნე ლექსიკონში გულის განმარტება. გული–უმთავრესი ნაწილი ცხოველთა შინაგანი აგებულებისა, რომლისგანაცა მოიქცევის სისხლი ყოველთავე ძარღვთა შინა,–ასე წერია ლექსიკონში.

თავად, ნოდარ დუმბაძეს, კეთილშბილური ხასიათი და ადამიანების სიყვარული რომ აქვს ეს ჩანს თავის ნაწარმოებებში. კობა იმედაშვილი წერს: „ახლა როდესაც ვფიქრობ ნოდარ დუმბაძის გმირზე, ყველაზე წინ მისი ერთი თვისება მოდის, უფრო სწორად მისი ხასიათის განმსზღვრელი– მას უნდა, რომ ყველასთან კარგად იყოს, ყველას მიმართ კეთილი, ყველას მიმართ სამართლიანი, მას უნდა რომ იგი ყველას უყვარდეს და მასაც უყვარდეს ყველა. იგი ჰარმონიას ესწრაფვის. მაგრამ ადამიანებთან თანხმობაში რომ იყო, უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავთან უნდა იყო თანხმობაში“ (იმედაშვილი,1977: 173).

„რატომ არის უსინათლო გოგო ხატია სოფლის თვალი? საკუთარ უბედურებას არ გაუბოროტებია იგი. ხატია ყველაზე ფიქრობს, ყველას სურვილსა და სატკივარს ხვდება. იგი ძლიერია იმიტომ, რომ სუფთაა მისი სინდისი. იგი მართალია სხვებთან, იმიტომ რომ მართალია საკუთარ თავთან“ (იმედაშვილი,1977:178). სწორედ აქედან ღებულობს სათავეს მწერლის კაცთმოყვარეობა.

ადამიანების სიყვარული ნოდარ დუმბაძის იუმორშიც კარგად ჩანს. მისი გმირები შემკულნი არიან თბილი იუმორით. ისინი არასოდეს არ იცინიან ბოროტად და დამცინავად. მისი იუმორი არ ისახავს მიზნად ვინმეს გაკილვას, მით უფრო შეურაცხყოფას; მისი ალალი და ლაღი ღიმილი არის მალამო, რომელიც ადამიანებს ჭრილობებს უშუშებს და ეხმარება ცუდის დავიწყებაში, უმსუბუქებს მძიმე ხვედრს. ყელაზე მძიმე სიტუაციაშიც კი, როცა პერსონაჟები დაძაბულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, როცა ხსნა თითქოს არსაიდან მოჩანს, მწერალი მზესავით გამოასხივებს თავის შუქს– მიმართავს იუმორს და დაძაბულობაც ქრება, შვება მოდის. ეს არის წამალი განკურნებელი, ეს არის ნათელი– წყვდიადის განმდევნი, ეს არის ჰაერი– მაცოცხლებელი, რომელიც სუნთქვაშეკრულ კაცს ჟანგბადით უვსებს ფილტვებს. ასე დიდია ფუნქცია, რომელიც ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში იუმორს აკისრია.

რეზო ამაშუკელი თავის მოგონებებში წერს: „თუ ნოდარ დუმბაძის წიგნებზე ვილაპარაკებთ, მე მისი ყველა ნაწარმოები მომწონს. ისინი მორალურ კოდექსის გაგრძელებაა, რომლის მიხედვითაც უნდა ცხოვრობდეს ყველა ადამიანი დედამიწაზე“. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ჰუმანიზმის გამოვლინების მაღალი მწვერვალია და სწორედ

ამ იდეის გამო გახდა გასაგები და ახლობელი პლანეტის ყველა მკითხველისთვის. მისი ყველა ნაწარმოები სიკეთეს ასხივებს. ყველა ნაწარმოებს დიდი ნიჭიერების დაღი აზის, ჭეშმარიტებაა, რაც ყველა მის ნაწარმოებში გამოსჭვივის. (დუმბაძე, 2011: 367–368).

ნოდარ დუმბაძეს უფრო მეტად ცხოვრების დრამატიზებით დამძიმებული მომენტები აინტერესებს, რომელიც აწრთობს ადამიანს. მისი აზრით, წუთისოფელი ნებივრობისთვის არ არის მოგონილი. იგი სიკეთის დასამტკიცებლად შექმნილი გზაა და მხოლოდ ამ გზაზე გადალახული წინააღმდეგობები ამაღლებს მას. ამ გზაზე მიაბიჯებენ ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში სიკეთე ყველაფერზე ძლიერია. ერთი სიტყვით, სოფლის ხალხი სიკეთით არის მდიდარი. ეს სიკეთე როგორც უხილავი ძალა, ხალხის ცხოვრებას სათავედ უდევს და მათი სულიერი სილამაზის გამოხატულებადაა ქცეული. ამავე დროს სიკეთე აბსტრაქტულად გამოხატული რამ კი არ არის, არამედ კონკრეტული რეალობაა და მისი გამოვლინების ფორმები მოთხრობებში უაღრესად ყოფით, თითქმის ნატურალისტურ ელფერს ატარებს. სიკეთე ყველაფერზე ძლიერია, მისი ზემოქმეების ძალა აღემატება თავკერძა გაბოროტებული ადამიანების მოძალებით მიყენებულ ტკივილებს. მის გმირეს კეთილი თვალიც აქვთ და ცხოვრებას კეთილი ღიმილით შეჰყურებენ. მაგრამ, ნოდარ დუმბაძის რომანებში სიკეთეს არ აქვს რელიგიური დოქტრინის სახე. იგი თვით ხალხის წიაღში შემუშავებული მორალის განუყოფელი ნაწილია, და მის შექმნაში ნაგულისხმევია ჰუმანური ტრადიციები. დუმბაძის საყვარელ გმირებს თამამად შეუძლიათ გაიმეორონ წმინდათაწმინდა პრინციპი: ადამიანი ადამიანის მიმართ ძმა, ამხანაგი და მეგობარია. (ხუხაშვილი,1970:97)

ელგუჯა მაღრაძე წერს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, შარვალფართხუნა გურულო ჩარლი! შენ ადამიანური სიყვარულის, კაცისადმი სიბრალულის სახელით ამხილე ყოველგვარი ბოროტება ამ ქვეყნად, ამხილე და გამოამზეურე ისე, რომ ზოგიერთი დღესაც ვერ მიმხვდარა ამ მხილების სიღრმესა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ვერ ჩასწვდომია შენი რომანების ძალას, რომელმაც უხმაუროდ იტვირთა საუკუნის ძნელბედობის გაიოლება და იგი ახალ რელიგიასავით მიიღო შენმა ხალხმა, როგორც რწმენა და სიყვარული. შენი შემოქმედება ჩვენი საუკუნის ქართული სულის მადლმოყრილი ვარაყია, შენი რომანის ლუსკუმი კი– შენს სახელსა და გვარს ჟამთგაუთავებლად შედუღაბებული სალოცავი.შენ ბუნებამ მოგმადლა მაცდური შინაგანი ხიბლი, რაც ადამიანს ერთი ნახვით ატყვევებს“ (მაღრაძე,1983: 517).

ამრიგად, მწერლის ჰუმანიზმი ფართო და მრავალმხრივია. იგი აერთიანებს არამარტო ადამიანებს არამედ ნებისმიერ ცოცხალ არსებას, სიყვარულს. მწერლის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უკავია მაღალი ზნეობისათვის ბრძოლას, სულიერი მშვენიერების აღზრდას. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მთავარი სათქმელი ადამიანიებისადმი სიყვარულის გამოვლინება და სიკეთის კეთებაა, მოყვასისადმი ჭირის და ლხინის გაზიარება ადამიანის იმ კუთხიდან დანახვაა საიდანაც ლამაზად იმზირება. ყველაფერი ეს ამაღლებს ადამიანს და მათთან ურთიერთობას უფრო ამაღლებულს ხდის.

ჰუმანისტი მწერლის ღრმა რწმენით, ბოროტების დამარცხების ყველაზე მძლავრი საშუალება სიკეთეა, სიძულვილის დათრგუნვისა– სიყვარული. ადამიანის ღირსება ის კი არ არის ბოროტება ბოროტებით უპასუხოს, არამედ სიკეთით. ბოროტებაზე ბოროტებითვე პასუხის გაცემით, შენც ბოროტებას სჩადიხარ, ბოროტმოქმედს უტოლდები. უფრო ძნელია დათრგუნო შენს თავში პატარა წყენა, ამაღლდე ჭეშმარიტ ადამიანობამდე და ამ ადამიანობის ძალით დაამარცხო ბოროტება (ვარდოსანიძე, 1974: 286).

სიკეთეს, კეთილშობილებას, ჰუმანიზმს რა საფუძველი გააჩნია? რწმენა ადამიანებში, რწმენა იმისა რომა დამიანი ბუნებით დამნაშავე არ არის, ბუებით ბოროტი არ არია. და თუის დანაშაულს სჩადის, ბოროტებას სცადის, ეს გარემოების ბრალია, თვით ადამიანების მხრივ უადამიანობის გულცივობის და ადამიანის ბედისადმი თავშეუწუხებელი დამოკიდებულების შედეგია. ადამიანს ადამიანისადმი კეთილი გრძნობა უნდა ჰქონდეს,ადამიანი ადამიანის მოკეთე, მეგობარი და მშველელი უნდა იყოს. ადამიანი სხვის სიკეთეს თავის სიკეთედ უნდა თვლიდეს, სხვის უბედურებას– თავის უბედურებად. ადამიანი ადამიანს ხელს უნდა უწვდიდეს ლხინშიც და ჭირშიც, მაშინ ნიადაგი გამოეცლება დანაშაულს და გზა გადაეღობება ბოროტებას (ვარდოსანიძე, 1974: 288).

ჰუმანისტი მწერლის ღრმა რწმენით, ბოროტების დამარცხების გველაზე მძლავრი საშუალება სიკეთეა, სიძულვილის დათრგუნვისა– სიყვარული. ადამიანის ღირსება ის კი არ არის ბოროტება ბოროტებით უპასუხოს, არამედ სიკეთით. ბოროტებაზე ბოროტებითვე პასუხის გაცემით, შენც ბოროტებას სჩადიხარ, ბოროტმოქმედს უტოლდები. უფრო ძნელია დათრგუნო შენს თავში პატარა წყენა, ამაღლდე ჭეშმარიტ ადამიანობამდე და ამ ადამიანობის ძალით დაამარცხო ბოროტება (ვარდოსანიძე, 1974: 286).

სიკეთეს, კეთილშობილებას, ჰუმანიზმს რა საფუძველი გააჩნია? რწმენა ადამიანებში, რწმენა იმისა რომა დამიანი ბუნებით დამნაშავე არ არის, ბუებით ბოროტი არ არია. და თუის დანაშაულს სჩადის, ბოროტებას სცადის, ეს გარემოების ბრალია, თვით ადამიანების მხრივ

უადამიანობის გულცივობის და ადამიანის ბედისადმი თავშეუწუხებელი დამოკიდებულების შედეგია. ადამიანს ადამიანისადმი კეთილი გრძნობა უნდა ჰქონდეს,ადამიანი ადამიანის მოკეთე, მეგობარი და მშველელი უნდა იყოს. ადამიანი სხვის სიკეთეს თავის სიკეთედ უნდა თვლიდეს, სხვის უბედურებას– თავის უბედურებად. ადამიანი ადამიანს ხელს უნდა უწვდიდეს ლხინშიც და ჭირშიც, მაშინ ნიადაგი გამოეცლება დანაშაულს და გზა გადაეღობება ბოროტებას (ვარდოსანიძე, 1974: 288).

ამრიგად, მწერლის ჰუმანიზმი ფართო და მრავალმხრივია. იგი აერთიანებს არამარტო ადამიანებს არამედ ნებისმიერ ცოცხალ არსებას, სიყვარულს. მწერლის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უკავია მაღალი ზნეობისათვის ბრძოლას, სულიერი მშვენიერების აღზრდას. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მთავარი სათქმელი ადამიანიებისადმი სიყვარულის გამოვლინება და სიკეთის კეთებაა, მოყვასისადმი ჭირის და ლხინის გაზიარება ადამიანის იმ კუთხიდან დანახვაა საიდანაც ლამაზად იმზირება. ყველაფერი ეს ამაღლებს ადამიანს და მათთან ურთიერთობას უფრო ამაღლებულს ხდის.

III თავი

პატრიოტიზმი

ა) სამშობლოს თემა

პატრიოტიზმზე დუმბაძის შემოქმედებაში საგანგებო ყურადღება თითქოს არაა დათმობილი, თუმცა ის ყველგან გვხდება, ყველა ნაწარმოებში. მწერლის მთელი შემოქმედება ამ დიდი გრძნობით არის დამუხტული. სამშობლოს სიყვარულისა და მისი თავისუფლების დაცვის გრძნობა ჩვენს ლიტერატურას ნათელ ზოლად გასდევს უძველესი დროიდან დღემდე, მაგრამ ყოველი მწერალი მას თავისებურად გვიხატავდა. რუსთაველს პატრიოტიზმი ნაჩვენები აქვს სხვა კუთხით, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაქტიონს, სხვა შესანიშნავ ქართველ მწერლებს კი– თავ–თავისი კუთხით, ოღონდ– ყველას დიდებულად. ეს ტრადიცია ქართველ მწერალთა მომდევნო თაობებშიც გაგრძელდა. ამ მხრივ ნ. დუმბაძე გამონაკლისი არ არის, მაგრამ „გამონაკლისობა“ აქ სწორედ იმ იდეის გამოხატვის ფორმასა და ხერხებში გვხვდება. კაცმა ომში თავდადებულად რომ უნდა იბრძოლოს და მომხვდური მტერი რომ უნდა ჟლიტოს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა; კაცმა რომ მშვიდობიან დროს თავისი გარჯით სამშობლო რომ უნდა აძლიეროს, ესეც ცნობილია. მაგრამ თუ რა ხერხებითა და საშუალებებით გვიჩვენებს ამას თითოეული მწერალი, აქ მჟღავნდება მათი ინდივიდუალური ნიჭის თავისებურება.

ნოდარ დუმბაძე საოცარი ფსიქოლგიური სიზუსტით და ხმაურის გარეშე, დეტალების უფაქიზესი შერჩევით გვიხატავს, მაგალითად, ომში, სამშობლოს დასაცავად ჩვენი მოსახლეობის მასობრივად წასვლას, რომ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მეტი შინ არავინ დარჩენილა, სოფლის ორკესტრის ყველა წევრიც კი, ვინც

გასაცილებელ მუსიკას უკრავდა, მთლაინად ყველა წავიდა იმ საშინელ ომში. აქ ეულად დარჩა მოხუცი მაესტრო, რომელსაც მხრები უცახცახებდა...

„მანქანების გაწვრივ ვიდექით ჩვენ– დედები, ცოლები, დები, მამიდები, ბავშვები, რომლებმაც გავიღეთ ეს მსხვერპლი. კოინდარზე უპატრონოდ დარჩენილ საკრავებს შორის იდგა სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მაესტრო და მხრები უცახცახებდა.

მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა. ამ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე აღელვებული მამიდა. ეს დღე გავდა უზარმაზარი ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ლოკოკინები და ნაფოტები“.

აქ ჩვენ ვხედავთ დეტალებს, რომელთაც დიდი ემოციური ძალა აქვთ:“უპატრონოდ დარჩენილი საკრავები“, „სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მაესტრო, რომელსაც მხრები უცახცახედა“, „ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი“... ამ დეტალებით მწერალი იმასაც აღწევს, რომ გვიჩვენოს ომში წასულთა ერთსულოვნება, ე.ი მასობრივი პატრიოტიზმი, და იმასაც, რომ დაგვიხატოს სოფლის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლი. სოსოიას მიერ განცდილი და დანახული ეს სურათი მკითხველს სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში და სათანადო გამოძახილს პოვებს მის გონებასა და გულში.

იმავე „მე ვხედავ მზეში“ ნაჩვენები დათიკოს დეზერტირობა და ხალხის მიერ მისი განაპირება, შეძულება და მისთვის ზურგის შექცევა ასევე მკაფიოდ გვიჩვენებს ხალხის მასობრივ პატრიოტიზმს, როცა ხალხი ეს მოღალატესაც კი ვეღარ ითმენს, რაკი ის ლაჩრულად თავს არიდებს ბრძოლის ველზე წასვლას, რაკი იგი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას მაღლა აყენებს ქვეყნის ინტერესებზე, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე. სხვათაშორის, დათიკოს ეპიზოდს ამ ნაწარმოებში დაახლოებით ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორიც წიწოლას ეპიზოდს ვაჟა– ფშაველას „ბახტრიონში“. ეს პარალელი უფრო მეტყველს ხდის ნოდარ დუმბაძის ჩანაფიქრს დათიკოს დახატვისას, მისი სიმხდალისა და ღალატის ჩვენებისას.

ადამიანის პატრიოტიზმი მშვიდობიან დროსაც მუღავნდება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ რომანი „ნუ გეშინია, დედა“, რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა მესაზღვრეების ფხიზელი და თავდაუზოგავი სამსახური ქვეყნის საზღვრებზე. რომანში ნაჩვენები მრავალი ეპიზოდი ამაზე ნათლად მეტყველებს. განსაკუთრებულად აქ მოჩანს მებრძოლი შჩერბინა, რომელიც, მართალია, იღუპება, მაგრამ იღუპება გმირულად, სახელოვნად.თუ ამას დავუმატებთ მის წერილს დედისადმი, რომელიც სავსეა ადამიანური სითბოთი და საოცარი სიყვარულით სამშობლოსადმი, სურათი უფრო შეივსება და სრულყოფილი გახდება (კვანჭილაშვილი,1989: 210).

სამშობლოს სიყვარული მწერალმა თავის ლექსებშიც გამოავლინა:

„კვდებოდნენ იმისთვის, რომ უყვარდათ მამული

მისწას არ დათმობდნენ უომრად,

დგებოდნენ ნახმლევით მკერდგადაღარული,

ვერ გრძნობდნენ ჭრილობა თუ ჰქონდათ.

კვდებოდნენ იმისთვის, რომ უყვარდათ მამული

და მარადი სიცოცხლე უნდოდათ“.

(დუმბაძე, 2006:341)

ლექსი „სამშობლო“ ნოდარ დუმბაძის ერთ–ერთი ლექსია, სადაც ის ქვეყანას და ქართველ გმირებს ეფერება და საიდანაც ჩანს ის დიდი სიყვარული, რომელმაც მწერალს ხელში კალამი ააღებინა.

დუმბაძე თავის ერთ– ერთ მოგონებებში წერს:

„ახლა აღარ მახსოვს კარგად, რომელ კლასში ვიყავი, მეოთხეში თუ მეხუთეში.

– დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო,–ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.

– სამშობლო...სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე და ...

– კიდევ?–ჩამეკითხა მასწავლებელი, ძალიან დიდხანს ვიფიქრე,

– დაჯექი, დუმბაძე,–მიტხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.

– არ დამიწეროთ, მასწავლებელო, ორი, ვიცი და ვერ ვამბობ, –შევეხვეწე მე და ტირილი დავიწყე. ტირილი იმიტომ დავიწყე, რომ ფრიადოსანი ვიყავი და წესით ყველაფერი უნდა მცოდნოდა ''.

„სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.''

„ სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე''.

– მეგობარო, გაჩერდით ერთი წუთით, მიპალუხეთ, რა არის სამშობლო?– ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.

– დიახ, თქვენ, იქნებ არ იცით?

– როგორ არ ვიცი, მაფრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

– დიახ, ასე უცბად, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

– ასე უცბად, დაუფიქრებლად და ქუჩაში სამშობლოსათვის სიკვდილი შეიძლება, ბატონო, – მიპასუხებს ის და ჩქარი ნაბიჯით მცილდება.

– იქნებ შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო?– ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.

– მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნენა... სამშობლო ალბათ სიცოცხლეა და ამიტომმიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი,– მიპასუხებს იგი. (დუმბაძე, 2006: 193–194)

„ნოდარ დუმბაძის შემოქმედება და მთელი ცხოვრება თავისი ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული. ერის სამსახური მისი უპირველესი მისია იყო. მისი შემოქმედება უაღრესად ქართულია და არა მარტო იქ გამოხატული გარემოთი და ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვევებით, ყველა მთავარი თუ არამთავარი მხარტვრული კომპონენტებით, არამედ რაც მთავარია, იმ ფესვებით, რომლითაც ეროვნულ კულტურას უკავშირდება და იმ მაღლა განტოტვილი გვირგვინთაც, მომავლის მწერლობას რომ სწვდება წინაპართაგან შთამომავლობით მიღებული ეროვნული სულისა და მრწამსის გადასაცემად“ (გვერდწითელი, 1981: 37–38)

დუმბაძის მთავარი ფიქრი და სატკივარი ქართველი ერი იყო. გურამ ასათიანი წერს: „ არავის, არც ერთ ჩვენგანს არ ხელეწიფება ამჟამად მკითხველთან, ქართველი ადამიანის გულთან ასეთი მიმნდონი, ასეთი გულითადი საუბარი, არავის არ უპყრია ხელთ ასე ოსტატურად მისი გული გასაღები.“ „ ისეთი პიროვნებები, როგორიც ნოდარ დუმბაძეა, სულიანხორციანად ხალხს ეკუთვნის, მშობელ ხალხს ეკუთვნის მათი გული და შთაგონება. მხოლოდ მშობელი ხალხია მათი ბედისა და გულითქმის გამგებელი, მათი ფიქრისადა წადილის ნამდვილი მოკარნახე“. (დუმბაძე, 2011:349)

ქართველი მწერლის შემოქმდების წარმატების მიზეზი მშობლიურ ქვეყანაში იოლი გასაგებია მისი აშკარად და მშვენივრად გამოხატული ეროვნული ხასიათის გამო. სხვათა ინტერესი შესაძლოა ვინმეს უცხო სამყაროს ყოფისა და ხასიათების მიმზიდველობით ახსნას. არც უამოსობაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცხო გარემოსა და უცხო გმირებით დასახლებულ მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან ეს სამყარო უაღრესად ადამიანური და ნათელია. სწორედ ამ განზოგადების, ეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიომდე ამაღლების ძალაში, ღრმა ოპტიმიზმისა და ჰუმანისტური სულისკვეთების უპირატესად ემოციურ, ლირიკულ გამჟღავნებაშია მწერლის გამარჯვების საწინდარი.

ნოდარ დუმბაძის წერილში „მამულის უკვდავება ვინატროთ“ მწერალი გვიყვება ომისდროინდელ ამბებზე და იმ სცენაზე, როცა ომში ბიჭებს ახალ წელზე აცილებდნენ. ნოდარ დუმბაძეს განსაკუთრებით დაამახსოვრდა უსინათლო შუშუნი თვართქილაძე, რომელიც ომში ბიჭების გაცილების დროს მღეროდა და ასე ამხნევებდა თანასოფლელებს:

„ვაჟკაცს არ შვენის ცრემლის ღვრა,

ქვითინი დიაცურადა,

მტერს ხმალი უნდა საფრთხულად,

კვალზეც მიყოლა მგლურადა“.

ვაჟას ეს ლექსი ნოდარ დუმბაძემ პირველად გაიგონა და თან ტანში ჟრუანტელმა დაუარა. პირდაპირ თოვლზე დაჯდა და უსმინა.

წლების შემდეგ, შუშუნი, მიუხედავად იმისა, რომ უსინათლო იყო, ნოდარ დუმბაძის სანახავად და სსიკვდილის წინ გამოსამშვიდობებლად მივიდა. ნოდარ დუმბაძე იხსენებს, თუ როგორ ლოცავს შუშუნი მას. უცვლელად წერს ლოცვის ტექსტს, თუმცა ის სადაც ნოდარს, მის ოჯახსა და შვილებს ახსენებს, საქართველოს წერს „რადგან თქვენა ხართ ჩემთვის ყველაფერი“– წერს ნოდარ დუმბაძე. „ბუნების ძალავ, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დააშთე თვალი ყოველნი მოშურნე მისი. საუკუნოდ დაგმანე ყური მსურველი და მსმენელი მისი სიავისა...“ (დუმბაძე, 2006: 229)

ამ მონაკვეთის მიხედვით კარგად ჩანს, ნოდარ დუმბაძის სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და ხალხისა. ის ყველაფერი რაც მას აქვს, ის ლოცვა რაც მისი მისამართით იყო, სამშობლოსთვის და ერისთვის ემეტება.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაცა და მთელი ცხოვრებაც დღემდე თავისი ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული“. (გვერდწითელი, 1981:37–40)

უბის წიგნაკშიც აქვს დიდი ადგილი უჭირავს სამშობლოს. „ ხანდახან უცნაური გრძნობა შემიპყრობს – მინდა ისეთი ერის პატარა შვილი ვიყო, დამოუკიდებლობის პრეტენზია არ მქონდეს, ხოლო სხვას– ჩემი ქვეყნის დაპყრობის სურვილი. ო, რა ბედნიერება იქნებოდა ასეთი ყოფნა“(დუმბაძე, 2006:259)

სამშობლოზე დუმბაძე წერს: „საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულ ბედაურს, თან ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინის და ვაშას ძახილით გააჭენ – გამოაჭენოს, მაგრამ, მადლობაღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შეიჯენს ხოლმე და იმატაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს. ბევრი მინახავს ასეთი“(დუმბაძე, 2006:257)

„იქნებ ვაზია სამშობლო? აბა დააკვირდით, თუ დაბლარია დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია– ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს“(დუმბაძე, 2006:269).

სხვა რაღა მტკიცება უნდა რომ მწერლის საფიქრალი სამშობლო იყო. მისთვის ემეტებოდა თითოეული სიტყვა, კალამი, დრო და ფიქრი მისით იყო სავსე.

ამაშუკელი ნოდარ დუმბაძეზე ამბობს, რომ ის იყო „ბუმბერაზი ბავშვი“. მან სამუდამოდ შეინარჩუნა ბავშვური სული, იყო ბრძენი, რომელსაც თავისი მიწის სატკივარი სტკიოდა. (დუმბაძე, 2011: 369).

პატრიოტიზმზე საუბრის დროს აუცილებლდა უნდა ავღნიშნოთ მოთხრობა „HELADOS”, რომელშიც სოხუმში დაბადებული და გაზრდილი14 წლის ბერძენი ბიჭის– იანგულის ტრაგიკული თავგადასავალია გადმოცემული. მკერდზე ამოსვირინგებული ამ ერთადერთი სიტყვით– იანგული თითქოს მაგიური ძალით იყო მიჯაჭვული თავის უნახავ სამშობლოსთან. ეს სიტყვა ნაწარმოებში თავიდანვე იჭრება, როგორც პაროლი, ზრაპრული გასაღები სამშობლოსადმი სიყვარულის იდუმალი გრძნობისა. მიუხედავად იმისა,რომ იანგულის წინაპართა სამშობლო მხოლოდ სიზმრად თუ ჰქონდა ნახული და სოხუმში, მის „ნამდვილ ელადას სოხუმი, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, შავი ზღვა, რკინიგზის ხიდი“ წარმოადგენდა, მას განგებამ, საკუთარმა მამამ, ჯიშმა და ჯილაგმა, იმ მეორე სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნეული გრძნობაც ჩაუსახლეს არსებაში.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობის უმთავრესი ღირსება, ჩემი აზრით ისაა, რომ მწერალმა დიდი ფსიქოლოგიური ძალისხმევით გვიჩვენა ამ ორ სამშობლოს შორის შინაგანად მიმდინარე მძაფრი ჭიდილი. უბნის ყოჩად ქცეული ამ „ხულიგან“ ბიჭს ცხოვრება თავიდანვე აყენებს მკაცრი და ულმობელი აუცილებლობის წინაშე– მამის გადაწყვეტილებით, იგი, სხვა იქაურ ბერძენთა მსგავსად, წინაპართა ისტორიულ სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს. ვინაიდან, მამამისის თქმით, მათი „სამშობლო იქაა. მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა–პაპათა სისხლი ეძახით და ისინიც მოვალენი არიან წავიდნენ“.

მაგრამ ის, რაც მამის მიერ ასე მარტივად და ხელის ერთი მოსმითაა გადაწყვეტილი, საბედისწეროდ მიუღებელი ხდება იანგულისათვის, ვინაიდან, მისი რწმენით, „სამშობლო უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით“.

სამწუხაროდ, იანგული უძლური აღმოჩნდა მამასთან ჭიდილში და მალე გამგზავრების დღეც დადგა. მწერალი ყოველგვარი ყალბი ინტერნაციონალიზმის გარეშე, უდიდესი ემოციური სიმძაფრით, აღწერს, როგორ „აცილებენ სოხუმის მოქალაქენი თავიანთი სხეულის ნაწილს, თავიანთ სისხლსა და ხორცს“– ბერძნებს.

მოთხრობის ფინალით მკითხველისათვის ნათელი ხდება ტრაგიკული შედეგი ამ მწვავე სულიერი ჭიდილისა, რომელიც წინაპართა სამშობლოში იძულებით მიმავალი იანგულის გულში მიმდინარეობდა. ბერძნების გამგზავრებიდან მესამე დღეს მდინარე კელასურის შესართავთან ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა. ერთადერთი ნიშანი, რომელის საშუალებით მისი ნამდვილი ვინაობა გახდა ცნობილი, გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებულიბერძნული სიტყვა –„HELLADO” იყო. „უკან მიუხედავად და სულმოუთქმენლად გავირბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევვარდი სახლშიო,– ათქმევინებს მწერალი ჯემალს– ნაწარმოებში გადმოცემული ამბის მთხრობელს.

– რა მოგივიდა, ბიჭო?– მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა.

– დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა! –ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი“ (ნიკოლეიშვილი,2018: 630–631).

ნაწარმოების ფიანალში მინიშნებულია ღრმა აზრი– ბერძენი ბიჭის მიერ საქართველოს შეყვარება. ეს გრძნობა მასში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ თუმცა დაემორჩილა მამის ნებას და ავიდა გემზე, მაგრამ საქართველოს სიყვარული, საგულისხმოა ქართველი ბიჭების სიყვარული, გემიდან გემიდან ზღვაში გადაახტუნებს იმ იმედით, რომ საქართველომდე ცურვით მიაღწევდა. მართალია, ეს განზრახვა აუხდენელი რჩება, მაგრამ დიდი აზრი ხალხთა ძმობისა მაინც იმარჯვებს (კვანჭლაშვილი,1989: 206).

ასე მთავრდება ნოდარ დუმბაძის ეს მშვენიერი მოთხრობა და მკითხველი უფაქიზეს ტკივილად გარდაქმნილი ემოციური შთამბეჭდაობით შეიგრძნობს იმ გრძნობის მაგიურ ძალას, რომელმაც სამუდამოდ დაუბრუნა იანგული მის ნამდვილ სამშობლოს. (ნიკოლეიშვილი,2018: 630–631).

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია დიდი სამამულო ომის ჩვენებას. ოღონდ აქ, უეჭველად უნდა მივანიშნოთ ორ გარემოებაზე: პირველი, მწერალი გვიხატავს ომის ანარეკლს და არა თვით საომარი მოქმედების პერიპეტიებს, გვიჩვენებს ზურგიდან დანახულ ფრონტს და ადამიანებზე დაჩნეულ მის კვალს. და მეორე– ომის გამოძახილს გვიჩვენებს არა თვით მოვლენის ფართო აღწერით, არამედ ინტიმურ –ლირიკულ პრიზმაში, რაც უფრო შთამბეჭდავს ხდის ნაამბობსა თუ ნაჩვენებს. ეს ორი გარემოება, გნებავთ თავისებურება, გამორჩეულს ხდის ნოდარ დუმბაძის მიერ აღქმულ ომს.

ამ დებულების საილუსტრაცოდ მრავალი ადგილის დამოწმება შეიძლება. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი. ხატიას და სოსოიას ტყუილი ომში დაღუპული ტყუპი ძმის მშობლებთან, დედისა და მამის თავზე დატეხილი დიდი უბედურება, რაც ომმა მოიტანა. აქაც ინტიმით, აქაც ზურგში დარჩენილი ადამიანების მეშვეობით ვხედავთ ომს. ამ ეპიზოდს შეიძლება დავუმატოთ უფრო ფართო მეტის მთქმელი ეპიზოდი, სადაც ვხედავთ ომიდან მოსულ შავ ბარათებს, რომელთაც მოაქვთ მრავალი ადამიანის ომში დაღუპვის საზარელი ამბავი. ნოდარ დუმბაძე ამასთან კავშირში გვიჩვენებს უბრალო ადამიანის, სოფლის ფოსტალიონის განცდებს, ისეთი სიღრმით, რომ მკითხველი შეძრულია რომანის პერსონაჟებთან ერთად: „ კოწიამ ჩანთა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდაზე დაანარცხა. ჩანთა გასდა და მაგიდაზე სამკუთხა წერილები, გაზეთები, ჟურნალები და რამდენილი დაბეჭდილ–მისამართიანი კონვერტი ამოცვივდა, კოწია დაჟინებით დააცქერდა ამ კონვერტებს, რომლისაც სოფელს შავი ჭირივით ეშინოდა, მერე დაემხო მაგიდაზე და ბავშვივით გატრუნული დარბაზი ჩუმად ადგა, როგორც გასვენებაზე, ისე, თითო–თითო მორიდებით ჩაუარა მაგიდაზე დამხობილ კოწიასა და წერილებს, თითქოს მაგიდაზე სავი ჭირით გათავებული, სახეზე სუდარაგადაფარებული მიცვალებული ესვენა, ხოლო კოწია მისი ჭირისუფალი იყო“.

კოწია ფოსტალიონის ეს მძიმე განცდა, დარბაზში მყოფი თანასოფლელების რეაგირება ინტიმურ პლანშია გადაწყვეტილი და, ამის მიუხედავად კი არა, სწორედ ამიტომ ომის შემზარავი შედეგი ასე ძლიერად არის ნაჩვენები.

ომის ანარეკლის ჩვენებისას ზოგჯერ, ნოდარ დუმბაძესთან ვხედავთ მრისხანედ შეკრულ მუშტს. საკითხი შიშვლდება, ადამიანი ხმას იმაღლებს და მრისხანედაც მოქმედებს. ამის მაგალითია ბეგლარა მეწისქვილის განრისხება დეზერტირი და გაყაჩაღებული, ბეჟანას მოკვლის შემდეგ მთლად გაველურებული დათიკოს წინააღმდეგ, როცა იგი წისქვილში სიმინდის დაფქვას მოიწადინებს. აქ ჯერ გამწარებული ქალების წყევლა– კრულვა დახვდება მოღალატე დათიკოს, შემდეგ კი მეწისქვილე წისქვილის სათავეს მოშლის და ყაჩაღს პირში მიახლის, რომ ჩემს წისქვილში დაფქვილი მჭადის ჭამა არ გეღირსებაო. შეიძლება ბეგლარი ყაჩაღს კიდეც მოეკლა, მაგრამ მოხუცი ამასაც არ უშინდება. სოფელი ვერ ითმენს მოღალატეს.

–„რა ქენი, შე უბედურო? – ჰკითხა დათიკომ.

–წადი შენი გზით, დათიკო, სანამ მე ვარ აქ და პირში სული მიდგას , არ გეღირსება ჩემს წისქვილში დაფქული მჭადის ჭამა. აგერ ვარ ახლა და მომკალი თუ გინდა, არხის სათავენი დავშალე! – თქვა ბეგლარმა ყბების ცახცახით“. ამ გამოწვევით, ამ მრისხანებით, ბეგლარი ჯობნის შეიარაღებულ ყაჩაღს, რადგან სიმართლე და ზნეობრივი სიწმინდე მის მხარესაა.

ამრიგად, მწერალი, რომელიც უბის წიგნაკშიც კი სამშობლოზე წერს, რთული მისახვედრი არაა რომ მისი ფიქრი მუდამ სამშობლოს უკავშირდება. მწერალი რომელიც ამბობს, რომ „ლოცვა ისე არაფერს არ უხდება, როგორც სამშობლოსო“ – ამაზე ნათლად მისი პატრიოტიზმი სად უნდა ჩანდეს. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ხალხს ეკუთვნის, ის ხალხის სამსახურშია და მისი სამშობლოსა და თანამემამულეების სიყვარულის გამოსახატავად ესეც საკმარისია.

ბ) ინტერნაციონალიზმი

ნოდარ დუმბაძემ თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი მიუძღვნა ადამიანთა შორის სიყვარულს. ბებიის, ბაბუის, თანასოფლელისა თუ მეგობრის სიყვარულს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი და არ შემიძლია არ აღვნიშნო დედა, რომელიც მწერლისათვის ასე მნიშვნელოვანია. რომან „მზიან ღამეში“ მთავარი გმირის– თემურ

ბარამიძის მშობლები 1937 წლის ტრაგედიის მსხვერპლები არიან: მამა უკვალოდ გაქრა, დედა კი 12 წლის პატიმრობის შემდეგ ბრუნდება. რომანში ღრმა ფსიქოლოგიზმითაა აღწერილი დედის ჩამოსვლა და ის ურთიერთობა, რომელიც ათასნაირ განსაცდელგამოვლის მშობელსა და მის გამოუცდეს შვილს შორის მყარდება. მწერალი უდიდესი ოსტატობით გვიამბობს თუ როგორ თანდათანობით ღვივდება ურთიერთობა და ლღვება ყინული (ნიკოლეიშვილი,2018: 620).

ომისდროინდელ გურიის სოფელ ზენობანში ბოშების ხანმოკლე ცხოვრების ამბავია მოთხრობილი, მოთხრობაში „ბოშები“. მსოფლიო ლიტერატურიდან მკითხველისათვის კარგად ცნობილი ბოშათა ცხოვრება მწერალმა ერთხელ კიდევ დაგვანახა და განგვაცდევინა ახლებური თვალთახედვით. ნაწარმოებში მოთხრობილი ამბისშთანაბეჭდილებას ორი უმთავრესი ფაქტორი განსაზღვრავს– ის ადამიანური სიახლოვე, რომელიც თავიდანვე დამყარდა ბოშებსა და სოფლის მოსახლეობას შორის და მეორე, ომის შედეგების ტრაგიკული განცდა.

სოფელში მოულოდნელად დაბანაკებულმა ბოშებმა თავიანთი წინასწარმეტყველებით, „ყველა დაქცეულ ოჯახს თუ არა, ნახევარს მაინც გაუცოცხლეს ომში დაღუპული შვილები, ქმრები, ძმები, სიძეები, სასიძოები... ყველა მწუხარეს თუ არა, ნახევარს მაინც ამოუმშრალეს მდუღარე ცრემლები თვალთაგან, ბევრ ჩაქრობაზე მიმდგარ კერას შეუბერეს სული, ისევ გააღვივეს, ისევ ააფუტეს და ყოველივე ამას რაღაც ერთ მუჭა თუთუნად, ორ თუ სამ კვერცხად, ნახევარ წველა ყველად, ერთ პატარა მჭადის ნატეხად, ერთ ბოთლ ადესა ღვინოდ და ხანაც სულ უფასოდ, წყაროზე მორთმეული ერთი ჭიქა ცივი წყლის საფასურად აკეთებდნენ.“ სოფლელებისა და ბოშების ეს ურთიერთობა იმდენად იდეალიზებული ფორმითაა აღწერილი, რომ ზოგიერთი რამ, განსაკუთრებით– ნაწარმოების ფინალი, მკაცრად თუ მივუდგებით ნაკლებად დასაჯერებელიც კია, მაგრამ ასეთი სიუჟეტური არარეალობა ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა ადამიანური სიყვარულის გამოვლენის რომანტიკულ ფორმად აღიქმება და არა ცხოვრებისეულ სიყალბედ და არარეალისტურ ილუზიურ გამონაგონად.

„ბოშებში“ დახატულია გურიის ერთ– ერთ სოფელში ბოშათა სტუმრობა და ბანაკის აყრის ამბავი. ბოშების წასვლის შემდეგ გაირკვა, რომ „სტუმრებს“ სოფლელთა საქონელი მოუპარავთ და გაურეკიათ. საქმე მილიციამდე მივიდა. როცა მილიციის უფროსი ძალით დაბრუნებული ბოშებისა და სოფლელთა წინაშე გამოდის და ბოშებს სასჯელი არ ასცდებათ, მაშინ სოფლელები უარყოფენ ბოშების მიერ ჩადენილი ქურდობის ფაქტს. მილიციის უფროსი მოულოდნელობისაგან სახტად რჩება, გაკვირვებას ვერ მალავენ თვით ბოშებიც... აქ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ქართველმა გლეხებმა ქურდბაცაცა ბოშებს ზნეობის გაკვეთილი ჩაუტარეს.

„განცვიფრებული ბოშები ხან ჩვენ მოგვჩერებოდნენ, ხან მილიციის უფროსს. გრძნობდნენ, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა მათ გარშემო, მაგრამ როგორ და რა– ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ....

ჩვენ და ბოშები ერთად გავედით მილიციის ეზოდან.

კარგა ხანს ვიდექით ერთმანეთის პირისპირ. მერე ბოშებს ნიკოლა გამოეყო, მოვიდა ლევარსი ბერეჟიანთან და მკერდზე ემთხვია. მერე უხმოდ შეტრიალდა და წინ დროგის კოფაზე დაჯდა...

წავიდნენ ჩემი შავტუხა, ხალისიანი, მოჩხუბარი, მჭედელი, მოცეკვავე, მარჩიელა, ქურდბაცაცა ბოშები. წავიდნენ უკანმოუხედავად, თან წაიღეს ჩვენი სოფლის ერთი ციცქნა დოვლათი, სამაგიეროდ, ლაშისღელის ჭალაში იმედის ისეთი კოცონი დაგვიტოვეს, დღესაც მინთია გულში“... (დუმბაძე,2011:245)

მიამიტობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ის ბოშები სხვაგან აღარაფერ მოიპარდნენ და ამ გაკვეთილის შემდეგ ისინი ზნეს იცვლიან, მაგრამ ხომ ცხადია, რომ „იმედის კოცონი“ იმათ გულებსაც მოედო და იგი უკვალოდ არ ჩაქრება.

ჰუმანისტი მწერლის შემოქმედებისათვის განუყრელად დამახასიათებელია სხვადასხვა ერის შვილთა შორის საოცრად გულთბილი და სიყვარულიანი ურთიერთობის ჩვენება, რაც ისეა დახატული, რომ ყოველგვარი ძალდატანებისა და პლაკატების გარეშე ხალხთა ძმობად და მეგბორობად აღიქმება. ეს არის ჭშმარიტი ინტერნაციონალიზმი. ცხადია ეს რეალური მაგალითებიდანაა აღებული, თუმცა ცხადია მხატვრულ ნაწარმოებში მისი ფოტოგრაფიული გადმოღება არ ხდება. ნოდარ

დუმბაძის შემოქმედება ამ საკიტხში ჰუმანიზმს ეფუძვნება, რაც გამორიცხავს შუღლსა და მტრობას, დაპირისპირებასა და კონფლიქტს.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ქართველების გვერდით სახლობენ და კეთილ განწყობილებით ცხოვრობენ, რუსები, სომხები, უკრაინელები, ბოშები, ბერძნები და აშ. მათ საერთო ინტერესი და შეგნება აკავშირებთ. ნიმუშად შეიძლებ დავასახელოდ რუსი ჯარისკაცი ანატოლი (სოსოიას რუსი), რომელიც ჰოსპიტალში ჭრილობების მოშუშების შემდეგ შემთხვევით ხდება სოსოიას ხიზანი. ეს პერსონაში, მწერლის მიერ და რომანის სხვა პერსონაჯების მიერაც გარემოსილია ისეთი სიყვარულით, რომ ღვიძლ ძმასაც კი შეშურდებოდა ასეთი სითბო და ყურადღება. ომისდროინდელ სოფელში, მაშინ როცა მჭადის ფქვილი არ მოიპოვებოდა სოფელში, სოსოია ხატიასთან ერთად მეზობლის თხას ჩუმად წველიდნენ. მაშინ როცა სოფელმა ამის შესახებ გაიგო, ყველა ბოთლით უგზავნიდა სოსოიას რუსისთვის თხის რძეს. და ასე გამოაჯამრთელეს რუსი ჯარისკაცი.

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ „ნუ გეშინია, დედას“ ერთ–ერთი მთავარი გმირი უკრაინელი შჩერბინა, რომელიც ავთო ჯაყელის მეგობარი ხდება საზღვარზე სამსახურის დროს, ეს არის კეთილშობილებით სავსე, მაღალი ზნეობის, პატრიოტი ახალგაზრდა, რომელიც მწერალმა დიდი სიყვარულით დაგვიხატა და უკრაინის ეს ღირსეული რიგითი შვილი ქართველებსაც შეაყვარა (კვანჭილაშვილი,1989:205).

ავიღოთ, თუნდაც, ძია ვანიჩკა, ავთო ჯაყელის მამიდის ქმარი, რომელიც თავისი სიკეთითა და ახალგაზრდის სულისკვეთების გაგების უნარით ხიბლავს ავთოსაც და მკითხველსაც. მწერალმა მის დახატვას ისეთი საღებავები მოახმარა, რომ ის უფერო მომხიბვლელი და მიმზიდველია, ვიდე მისი ქართველი ცოლი, ავთოს მამიდა. სხვათა შორის, აქვე უნდა გავიხსენოთ „მზიან ღამეში“ თბილი ტონებით დახატული ღამის დარაჯი ართავაზა. ისიც მომხიბვლელი პიროვნებაა, თემოს სიმპათიებს იმსახურებს. მწერალმა ამ მომენტითა გამოხატა სომეხი ხალხისადმი თავისი კეთილი განწყობილება (კვანჭილაშვილი,1989:206).

აქაც უნდა აღვნიშნოთ, მოთხრობა „HELADOS”, სადაც ბერძენი ბიჭისა დაქართველი ბიჭის ურთიერთობაა წარმოჩენილი. ის დაუფიქრებლად გადახტება

ზღვაში, იმ იმედით, რომ ტავის ნამდვილ სამშობლოს, საქართველოს და ტავის ნამდვლ მეგობრებს დაუბრუნდებოდა, თუმცა, სამწუხაროდ იანგულის სიცოცხლე ტრაგიკულად სრულდება.

ინტერნაციონალიზმის, ხალხთა შორის ძმობისა და სიყვარულის ასეთი ჩვენებით ნ. დუმაძე უპასუხებს არა მარტო ჩვენი ეპოქის მოთხოვნილებებს, არამედ ქართველი ხალხისა და მისი ლიტერატურის უძველეს ტრადიციებსაც– „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“ , ან „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“.

შეუჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდობის ჩვენებას. ესენი არიან სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, სოფლისა თუ ქალაქის ახაკგაზრდები, კარისკაცები თუ სხვადასხვა სფეროში მოღვაწენი. შეიძლება ითქვას, რომ მწერლის მიერ დახატულ პერსონაჟთა მრავლესობა ახალგაზრდები არიან. კრიტიკაში შენიშნულია, რომ თითქოს მწერალი ბევრ მათგანში ავტობიოგრაფიულ მომენტებს დებს. თუმცა დაზუსტებით ამის თქმა შეუძლებელია. მთავარი კი ის არის, თუ როგორ ახალგაზრდებს ხატავს და რა თვისებებით აღჭურავს მათ, რა გარემოში მოქმედებენ ისინი, რა ამოძრავებთ, საით მიილტვიან, რას ამკვიდრებენ, რა სულიერი სამყარო აქვთ მათ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ახალგაზრდა, დუმბაძის მოთხრობებისა და რომანების გმირები, ჭაბუკებიცა და ქალიშვილებიც, მაღალი ზნეობის, სპეტაკი სულის, შესანიშნავი იდეალების მქონე ახალგაზრდები არიან და ისინი ჩვენს მკითხველ ახალგაზრდობას მშვენიერ მაგალითს აძლევენ იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდა. ასეთებად მივიჩნევთ ზურიკელას, მერის, სოსოიას, ხატიას, თემოს, ავთოს, კუარაჩას, შჩერბინას, ზაზას, ბაცანას... ეს არის ნოდარ დუმბაძის შემოქმედების მთავარი ახალგაზრდა გმირების გალერეა, ეს არის მზიური სულისა და იდეალების მქონე ახალგაზრდობა, რომელსაც თანამედროვე ეპოქის ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები ახასიათებს (კვანჭილაშვილი, 1989:211).

IV თავი

სიყვარული ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში

ა) ქალ–ვაჟური სიყვარული

ყოველი ერი თავისებურად გამხატავს სიყვარულს. ყველა ერმა თავისებური სიყვარული იცის. სიყვარულის ძალა და მისი ღვთიური ხასიათი თავიანთი ქვეყნის მწერლების მიერაა დაწერილი. საქართველოშიც წერენ სიყვარულზე:

„თითქოს ქალწულმა პირევლად სცოდა

და სინანულის დაგუბდა ღვარი“

ადამიანურ სიყვარულში ესთეტიკურად მნიშვნელოანია ის, რაც მეტ – ნაკლებად, სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს, ანუ იშვიათი, უნიკალური, უაღრესი.

დიდი სიყვარული შინაგან კულტურას მოითხოვს (არა უბრალო განათლებას, გემოვნებას ან გარეგნულ დახვეწილობას, არამედ შინაგან სიფაქიზეს), კერძოდ რითმის გრძნობას(ასათიანი, 1983: 5)

ნოდარ დუმბაძე მკვეთრად და გამოხატულად არ საუბრობ ქალ– ვაჟურ სიყვარულზე, თუმცა მას თითქმის ყველა ნაწარმოებში ვხდებით. მისი ახალგაზრდა გმირები სწორედ ამ სიყვარულით ცოცხლობენ. სიყვარული ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში წრფელი და ფაქიზია.

„ნუ გეშინია დედას“ მთავარი გმირს ავთო ჯაყელს ერთი დანახვით, გაცნობისთანავე მოეწონება ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი დადუნა და მიუხედავად იმისა, რომ დაუზოგავად გაილახა დადუნას სახლში, ვაჟს ამ მშვენიერი გოგოს ტრფიალი გაუჩნდა გულში. მაგრამ ავთოს გრძნობა, თუმც იგი დარწმუნებუია მიყვარსო, შორს არის ჭეშმარიტი სიყვარულისგან. დადუნასაკენ მას თავისი ჭაბუკური გული იზიდავს, მომწიფებული ვაჟის ლტოლვა მოპირდაპირე სქესისადმი და არა გონებით გააზრებული ძლიერი მისწრაფება და სიახლოვეს დაფუძვნებული სერიოზული გრძნობა. ამიტომ ავთო ჯაყელის სიყვარული ჭაბუკური გატაცების ფარგლებს ვერ სცილდება და ამსიყვარულს გრძნობებში გარკვევის გამოცდილების შეძენის მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებისა და ამ სულის თვისებების მკითხველისთვის წარმოჩენისა.

ჭაბუკური გულის ძახილს ეყრდნობა ფერიდეთი გატაცებაც ავთო ჯაყელი ამ შემთხვევაშც დარწმუნებულია თავის სიყვარულში, მას ეჭვი არ ეპარება, რომ უფერიდოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. მაგრამ ფერიდემ, ისევე როგორც დადუნამ ვერ შთააგონეს, ავთო ჯაყელს ჭეშმარიტი გრძნობა, ნამდვილი სიყვარული. ეს შეუძლებელიც იყო, რადგან ავთო ჯაყელს არ გააჩნია სიყვარულის იდეალი,მან ჯერ კიდევ არ იცის რა უნდ აუყვარეს, რატომ უნდა უყვარდეს, რისთვის უნდა უყვარდეს.

ყოველივე ეს მოკლებული არ არის ცხორებისეულ სინამდვილეს. ყოველ ჭაბუკს, ისევე როგორც ყოველ ქალიშვილს შეიძლება ჰქონდეს არაერთი გატაცება; ხშირად ის რაც ყმაწვილ კაცს სიყვარული ჰგონია ტრფიალს მოწყურებული გულის ძახილია მხოლოდ. მაგრამ ეს ცხოვრებისეული სიმართლე დიდ აზრს ვერ იძენს ნაწარმოებში, თუ მას არ გააჩნია იდეურ – ესთეთიკური დატვირთვა. ამ მოთხოვნის პრიზმაში კი ავთანდილ ჯაყელის გრძნობა– გატაცება ძალიან ფრთებშეკვეცილი მოჩანს. როგორც ვთქვით ამ გატაცების დანიშნულება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მიგვანიშნოს პერსონაჟის უმწიფარი სახე (ვადროსანიძე,1974:321)

„თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟისთვის ყოველივე მის ირგვლივ მომხდარი მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილი ხდება, და მხოლოდ, აი აქ ბოლოს იგი გამოეყოფა ყველას, სხვებს– ცალკე დგება, განსხვავდება მათგან, ჩამოყალიბდება პიროვნებად. ამ ჩამოყალიბებაში კი გადამწყვეტ როლს თამაშობს სიყვარული, სიყვარული ფართო ადამიანური გაგებით, სიყვარული რომელსაც ასე შესანიშნავად უმღერა მოციქულმა პავლემ თავის პოეტურ ნაწარმოებში. რამდენიმე ციტატა:

1. და მაქუნდესღა თუ წინასწარმეტყველებაი და უწყოდე ყოველი საიდუმოი და ყოველი მეცნიერებაი მაქუნდესღა თუ ყოველივე სარწმუნოება ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყვარული თუ არა მაქუნდეს: არა ვერა ვარ...

2. ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე. ხოლო უფროს ამათგან არს სიყვარული.

ეს დიდი სიყვარული მარტო ზაზა ნაკაშიძესა და „თეთრი ბაირაღებისთვის“ კი არა საერთოდ ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედებისთვის არს დამახასიათებელი.

სხვათა შორის სიყვარულის ასე წინ წამოწევა ქართული მწერლობისთვის მეტად დამახასიათებელია. სიყვარული განსაზღვრავს ნოდარ დუმბაძის დამოკიდებულებას ადამიანებთან და მოვლენებთან. არ შეიძლება რომ მკითხველიც ამ სიყვარულით არ განიმსჭვალოს. მაგრამ ზოგჯერ, ზომიერების დაკარგვის შემთხვევაში, სიყვარული დაყვანილია გულის აჩვილებამდე. თვით „თეთრი ბაირაღების“ რომანის მთავარი გმირის ცხოვრება შეუცნობელია, მანამდე სანამ ის არ შეიცნობს ქალს. სიყვარულზე კი არა ბიოლოგიურ ინსტიქტებზე მოგახსენებთ. სიყვარული მას ჯერ იდევ წინ ელის, ან სადღაც იქვე პარალელურად არსებობს.

წრფელი და ფაქიზია ზურიკელასა და მერის სიყვარული. რომანში იუმორისტულ ჭრილშია ნაჩვენები ეს ურთიერთობა ქალ– ვაჟს შორის. ოლღა ბებიას შეცდომით მასწავლების მიერ გამოტანებული წერილის ნაცვლად, ზურიკელას წერილი მოხვდება, რომელიც მან მერის დაუწერა:

„მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, მე ვაღიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა. მე მაგიჟებენ შენი თვალები, წამწამები, თითები...“ რასაც ილიკოს და ილარიონის ხითხითი ერთვის.

მამანდე კი ეს გრძნობა ზურიკელას ლექსსაც დააწერინებს. რომელსაც ილიკოს და ილარიონს წაუკითხავს:

„ ღამე არის მთვარიანი,

თოვლიანი, ქარიანი,

ცრემლი მომდის სიხარულის,

მიყვარს ღამე სიარული,

მთელი ღამე უძილო ვარ,

სულ მთლად გადარეული ვარ“.

ზურიკელა, რომანის ერთ–ერთ თავში, მორიდებით, მოკრზალებულდ თითქოსდა მალულად ეუბნება მერის თავის სიყვარულზე. იქმნება ერთგავრი იუმორისტული მომენტიც.

– შენ ხომ იცნობდი ჩემს მურადას?

– კი!

– შენ ძალიან უყვარდი მურადას, სულ ასე მეუბნებოდა, მერი კარგი გოგოაო, მერისთანა გოგო ქვეყანაზე არ დადისო, მერი სულ ყველას სჯობიაო, მერისთანა ლამაზი თვალები არავის არა აქვსო, მერი ძალიან კეთილი და ჭკვიანი გოგოაო. შენ ძალიან უყვარდი მუარდას, ჩემსავით უყვარდი, არა უფრო უყვარდი, შენ არასდროს გიღრენდა. შენც ხომ გიყვარდა ჩემი მურადა?

– კი ზურიკო, ძალიან მიყვარდა, ძალიან!

– მერი!

– რა ზურიკო? საფეთქლებზე მოვკიდე ხელი, ჩემსკენ მოვიზიდე და ჩემი სახე მის თმებში ჩავმალე“.

რომანი მერის და ზურიელას ერთად ყოფნის გეგმით მრთავდება. ნაწარმოების ფინალს საფუძვლად სიყვარული და ლამაზი ოჯახური ურთიერთობა უდევს, რაც შემთხვევითი არაა.

რომანში „მე ვხედავ მზეს“ მთავარი გმირი ხატია მხოლოდ მზეს ხედავს, თუმცა მას ისე უყვარს სოსოია, მისი კლასელი, მეგობარი, მეზობელი და უბრალოდ თანასოფლელი, რომ მასაც ხედავს. „შენ გხედავ სოსოსია, შენ და მზეს გხედავთ“– ამბობს ხატია. რომანის გმირები ერთმანეთს სიყვარულს არ უხსნიან, არ ეუბენბია თუ როგორ უყვართ, არამედ ამას უმტკიცებენ ყოველ მოქმედებაში. სოსოია ბრმა ხატიას არსად არ ტოვებს. ყველგან თან დაჰყავს: სკოლაში, სახლში, ქალქაში და სათევზაოდაც კი. არც ხატია ტოვებს მას. ეს არაა სიბრალური ბრმა გოგოს მიმართ, ეს არც მათი შეჩვევა და ბავშვური გატაცებაა. ეს სიყვარულზე მეტია.

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთისიც, რომ რომანში საუბარია ისეტ სიყვარულზე რომელიც მშვენიერ სულზეა დაფუძვნებული და არა გარეგნლ სილამაზეზე. სოსოიას უყვარს ხატია თავისი კეთილშობილური ხასიათით, თავისი კეთილი ტყუილებით, თავისი კაცთმოყვარეობით და თავისი იმედით, რომელსაც ყველა ადამიანში აღვივებს. მიუხედავად იმისა, რომ რომანის მთავარი გმირი– ხატია სამყაროს ვერ ხედავს, ბრმაა– ის უყვარს ზურიკელას თავისი ლამაზი მხარიდან. ნოდარ დუმბაძე აქაც ხაზს უსვამს მის „კანონს“, რომ ადამიანი ფრესკა არ არის და რომ მას იმ მხრიდან უნდა უმზირო საიდანაც უფრო კარგად გამოიყურება. თავის მხრივ, ხატიაც ვერ ხედავს

სოსოიას გარეგნულად, თუმცა მასაც ზურიკელა თავისი ბუნების გამო შეუყვარდა, თავისი ადამიანობის გამო უყვარს და ეტრფის მას.

განა შეიძლება ამაზე უკეთ სიყვარულის გააზრება და მისი აღწერა? აი ასეთია ნოდარ დუმბაძის სიყვარული. აი, ასე გვანახებს და გვარწმუნებს იმაში, რომ წრფელი სიყვარული არა გარეგნობიდან არამედ შიგნიდან მოდის. ნამდვილ გრძნობას ვერ ხედავ, მას უბრალოდ განიცდი. ასე უყვართ ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა პერსონაჟებს.

ბ) დედის სიყვარული

განსაკუთრებულად გამოიყოფა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში დედის სიყვარული. დიდი ადგილი უჭირავს დედისა და შვილის ურთიერთობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ბავშბობა დედასთან ერთად არ გაუტარებია და დედის ალერსს მოკლებული იყო, მაინც განსაკუთრებული დიდი სიყვარულით გადმოგვცემს დედის სიყვარულს. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებულად ჩანს რომანში „მზიანი ღამე“. აქ არის დედა და შვილი, რომლებიც ერთმანეთს ვეღარ სცნობენ– ისინი თორმეტი წლით დააცილეს ერთმანეთს. აქვეა მარტოობა და შიში, სიმრუშე და სიყვარული, დათრგუნვა ბოროტებისა და გამარჯვება სიკეთისა, სიკვდილის სიცოცხლედ შეცნობა, ადამიანების მიერ ადამინაის გადარჩენა და მაუგლის დაბადება ადამიანად (იმედაშვილი, 1977:184). დიდი ხნის უნახავი დედასთან შეხვედრამ პერსონაჟში გააღვიძა ეს დადებითი გრძნობები.

„ჭაღარა ქალი იდგა მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა, იგი საოცრად ჰგავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთახში თორმეტი წლის წინ, ღამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირჯვარი გადამსახა და მკერდზე მაკოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა... ეს იყო ჩემი დედა...“ ...“–გამარჯობა შვილო. მე მივხდი, რომ იგი ელოდა პასუხს,– გამარჯობა, დედა, მაგრამ მე ვერ შევძელი.

– გამარჯობათ ქალბატონო– ვთქვი და ტირილი დავიწყე.

თეიმურაზის დედის სახე მრავლისმთქმელია. მის ხასიათში ძირითადი ორი შტრიხია:–„ მე ჩემი სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია. გზა კი, მგონი, დავამთავრე,

ბოლოში გავედი“. და მეორეში– შიში, ყველაფრისა და ყველასი, უსახო შიში. იქნებ დაბნეულობაც, მაგრამ არა, მან შესანიშნავად იცის „ზოგი ისე სჩადის ბოროტებას, სიკეთეს აკეთებს ჰგონია“...

ადრე დაეღუპა დედა ავთო ჯაყელს, რომანში „ნუ გეშინია, დედა“. მაგრამ დედის სახე, დედის ზმანება, როგორც მფარველი ანგელოზი, სწორი გზის მაჩვენებელი მას მუდამ თან დაყვება. დედის ხატება ავთოს შთააგონებს სიკეთეს, მოყვასის სიყვარულს, სინაზითა და შეუდრეკლობით მოსავს მის გულს, მოუწოდებს გონიერებისკენ, უჩვენებს სწორ მიმართულებას ცხოვრების რთულ და არაიშვიათად ბნელ გზაზე. ძალიან თბილი, თეთრი და რბილი ხელი ჰქონდა დედაჩემსო,– ხშირად იგონებს ავთო ჯაყელი და დედის ხელიდან ავთოს სულში ჩაღვრილი სითბოა, რომ ალამაზებს და აკეთილშობილებს მი სულს. ესდედისაგან ბოძებული გულის სითბოა ასე უხვად რომ უნაწილებს ავთო ჯაყელი მის ირგვლივ ყველას და ყველაფერს.

დედამ შთააგონა ავთოს ქურთის ბიჭის– აბოს სიყვარული, დედის ნაზმა თბილმა და კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ ქურთის ოჯახისადმი ანალოგიური გრძნობები გამოიწვია და გაამკვიდრა ავთოს გულში. ავთოს რომ უძვირფასეს მოგონებად შემორჩა ქურთი ბიჭი აბო, ეს დედის დამსახურებაა. ავთოს დედა ქურთების ოჯახს ზემოდან არ უყურებდა, არამედ ის ოჯახი ახლობლად მიიჩნია და მათ ავ– კარგს გულწრფელად იზიარებდა.

დედაშვილური სიყვარულით არის განმსჭვალული ჯარისჯაცი შერბინას წერილი დედისადმი. იგი თავის შთანეჭდილებებს ფიქრებსა და გრძნობებს უზიარებს თავის დედას, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის მისი, რომელიც შვილის ამოსუნთქვაშიც კი შეიგრძნობს საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარი გულის თრთოლვას. შერბინას აღარ შეუსრულდა ნატვრა, რომ კვლავ შეხვედროდა დედას, დაბრუნებოდა დედის კერას, იგი საზღვარზე დაიღუპა, მაგრამ დედის სახემ, დადაშვილურმა სიყვარულის ძალამ, რომელიც მას ზრდიდა ადამიანად და რომელმაც მას გმირობა ჩაადენინა, აუგო მას ძეგლი კაცთა გულში,უზრუნველყო მისი სახელის უკვდავყოფა.

ბიჭებმა ავთომ და აბომ, რომ ერთმანეთი შეიყვარეს ამაში მხოლოდ ავთოს დედის წვრილი როდია. ეს აბოს დედის– ქურთი ქალის–სარას დამსახურებაცაა. მანანას და სარას სულიერი პორტრეტი ერთმანეთს ჩამოჰგავს. სარაც სათნო, გულნაზი და კეთილშობილი ქალია. იგი ადრე გარდაიცვალა და ტან ოჯახის დიდი დარდი,ქმარ შვილის მძიმე სევდა გაიყოლა. აბომ არ უღალატა დედის ხსოვნას, იგი მართალი, დიდი გულის მქონე ადამიანი დადგა და უფრო დიდი ძეგლი არც უნდა დედის ხსოვნას.

ავთო ჯაყელი მთელს თბილის შეძრავს რათა აბო იპოვოს. ეს არ არის მხოლოდ აბოს ძიება ეს დედის მოგონებების გაცოცხლების წადილია. ეს კი ყველაზე მთავარია ავთოსთვის რადგან დედის ხატება მისთვის მთავარი შუქურაა. „ქვეყანა რომ დაინგრეს უნდა ვიპოვო აბო... ახლა აბო როგორც სიცოცხლე,ისე მჭირდება იმიტომ რომაბოდან მახსოვს ყველაფერი: დედაც, მისი თბილი ხელიც, მისი ტირილიც და მისი დიდრონი ცისფერი თვალებიც. აბოთი მახსოვს ჩემი დედა. ყველაზე უფრო აბოთი დამამახსოვდა, მეტი არაფრით. მამაც მახსოვს, მაგრამ დედა უფრო და ის ღამე. გუშინდელ დღესავით მახოსვს დედა და აბო!“ (გარდოსანიძე,1974: 330)

აღსანიშნავია, ისიც, რომ ნოდარ დუმბაძე და მისი დედა ერთსა და იმავე ასაკში 56 წლისა გარდაიცვალნენ, რაც უჩვეულო დამთხვევაა. ის თითქოს უხილავი ძალით იყო დაკავშირებული თავის სისხლხორცთან.

ნოდარს ყოველთვის სწამდა, რომ სიყვარულისა და სიცოცხლის ძალის დათრგუნვა რაიმე სხვა საწინააღმდეგო ძალით შეუძლებელია. სიყვარულისა და სიცოცხლის ძალა მათ უსასრულობაშია და ამ უსასრულობისაკენ მარად ივლიან ხატიას და სოსოიას, მერის და ზურიკელას მსგავსი წყვილები“ (დუმბაძე, 2011: 364).

ამრიგად, ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა რომანში ვლინდება სიყვარული თავისი ნამდვილობით. მწერალი გვიყვება ქარაფშუტულ გრძნობებზეც, თუმცა საბოლოოდ მისი გმირები პოულობენ ნამდვილ გრძნობას. ამნიჭს ისინი არ კარგავენ ტრაგიკული მოვლენების დროსაც კი, რადგან სიყვარული ამოძრავებთ.

V თავი

მზის სიმბოლიკა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში

მზით და სიკეთით იყო გამთბარი ნოდარ დუმბაძე. მას მზიან პოეტსაც უწოდებდნენ, რადგან მისი ყოველი ნაწარმოები, განსაკუთრებით კი საბავშვო ლექსები, მზითაა გამთბარი.

მზეს და სიმბოლიკას მწერალი ხშირად მიმართავს. მზეს ვკითხულობთ, არა მარტო ნაწარმოების სათაურებში („მე ვხედავ მზეს“, „მზიანი თამე“, „მზე“), არამედ მწერლის თვით პოზიცია, ნაწარმოებთა სულისკვეთება, მთავარი პერსონაჟების ბუნება და სული არის მზიური – მზით, სინათლითა და სითბოთი სავსე.

მზისადმი დამოკიდებულებას ვხედავთ ბევრ ქართულ ნაწარმოებებში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანში“. გენიალურმა შოთა რუსთაველმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ ხატებას და მის მრავალწახნაგოვან გააზრება– სიმბოლიკას. ამ ნიადაგზე მომდევნო საუკუნის ქართველმა მწერლებმა მზისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა მასშტაბით გამოხატეს. ეს ტრადიცია თანამედროვე ქართულმა

ლიტერატურამაც გააგრძელა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება კი ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესოა.

არც ხალხური ფოლკლორია გამონაკლისი.

თუნდაც ქართული ხალხური ფოლკლორიც ყველასთვის ცნობილი ლექსი გავიხსენოთ: „ მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, წვრილ– წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“. ქართულ მითოლოგიაში მზის განმასახიერებელ ქალღმერთს ბარბალე ერქვა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალის ნაყოფიერების საწყისის მფარველ ღვთაებას.

ნოდარ დუმბაძესთან მზე გვხვდება პირდაპირი მნიშვნელობითაც, გადატანითი გააზრებითაც და, ჩვენი აზრით, ერთი თავსატეხი კომბინაციითაც, როგორიც არის „მზიანი ღამე“, რასაც ახსნა სჭირდება. ამის საილუსტრაციოდ ჯერ „თეთრი ბარიაღები“ განვიხილოთ, სადაც ვკითხულობთ:

„ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარივით და თავისკენ მიმიზიდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს, იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მივუახლოვდი და ხელი შევახე მან არ დამწვა მე, ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერთელა აღმართს– მე და მზე, წინ მზე და მე–უკან. ჩვენ ავედით სულ მაღლა, მაღლა, თოვლიან მწვერვალზე, ისე მაღლა, ისე მაღლა, როგორც არავინ და მზე ვეღარ ადნობდა მარადიულ თოვლს– ეს არის ჩომოლუნგმა!– თქვა მზემ და თეთრი ბაირაღი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავშალე ბაირაღი, მაღლა ავღმართე და ავხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირაღი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო“. ეს სიტყვები ეკუთვნის რომან „თეთრი ბაირაღების“ მთავარ გმირს ზაზა ნაკაშიძეს. ამონაწერიდან ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება მზისადმი: ზაზა და მზე მეგობრებივით ერთად ადიან მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, წინ მზე მიდის და უკან ზაზა მიჰყვება. ჭაბუკის ეს ურთიერთობა მზესთან, თუნდაც იგი ზმანებაში იყოს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მზიური სულის ლტოლვა ნათლისადმი, რომლის წყაროც მზეა. მზე და ზაზა აქ გატოლებულნი არიან, ერთად მიაბიჯებენ. მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვა რამეა: მზემ ზაზას მიაწოდა თეთრი ბაირაღი, რომელიც

ჭაბუკმა ქვეყნიერების თავზე აღმართა. ეს ბაირაღი კი როგორც ტექსტში წერია, სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლოა– ეს დევიზი წერია ამ დროშაზე, რომელიც, საფიქრებელია, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან მთელმა მსოფლიომ უნდა წაიკითხოს და ირწმუნოს. ამ ნაწარმოებში ნოდარ დუმბაძეს მზე ესახება ყოველივე საუკეთესოს წყაროდ, რადგან სწორედ მზე აწვდის ადამიანს (ზაზას) დროშას, რომელსაც სიკეთე, სიყვარული და სათნოება აწერია. ზაზა ნაკაშიძეს, მზე კიარ სწვავს და ოცნების ფრთებს კი არ აცლის, არამედ მეგობრად უხდება და კაცობრიობის საუკეთესო იდეალების გამომხატველი დროშით აიარაღებს მას. ეს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტია, რომლის გაუთვალისწინებლად სწორედ ამომწურავად ვერ შეფასდება მზისადმი ნოდარ დუმბაძის მრავალმხრივი დამოკიდებულება.

თავისებურია ნოდარ დუმბაძის ერთი რომანის სათაური– „მზიანი ღამე“. აქ ჯერ გასარკვევია ტერმინის აზრი, მერე კი ასახსნელია, თუ რატომ უწორდა ავტორმა თავის რომანს ასე. „მზიანი ღამე“ გვხვდება „ვეფხის ტყაოსანში“.

„იტყვის: „ ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,

ერთ არსებისა ერთისა მის უჟამოსა ჟამისად“.

პოემაში ნახმარი „მზიანი ღამე“ სპეციალისტების მიერ ახსნილია სხვადასხვაგვარად, ამათგან ერთ – ერთი ახსნა ასეთია: პოემის სტროფის მიხედვით მზე არის მზიანი ღამის ხატი. ხოლო რა არის მზიანი ღამე? ძველად კოსმოგრაფია ქვეყნიერების პრიმიტიულ ახსნას იძლეოდა: დედამიწა სამყაროს ცენტრია, მზე დედამიწის ირგვლივ ტრიალებს, დღისით იგი ხილულ ცაზეა, ღამე კი უხილავ ცაზე, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ვხედავთ. მზე ჩადის დასავლეთით, მაგრამ სად მიდის? იგი სადღაც ქვეშ არის, ცის მეორე მხარეზე, იქაა ღამის მზე, რომელიც ჩვენთვის დასანახი არაა. იქ ჩვენთვის ღამეა, თუმც მზე ანათებს. ეს არის მზიანი ღამე. ასე ესმოდათ ძველი კოსმოგრაფიით ეს საკითხი. მაგრამ განა შეიძლებოდა ნოდარ დუმბაძეს ამ გაგებით ეხმარა ტერინი „მზიანი ღამე“? ჩვენ ამას გამოვრიცხავთ.

არსებობს „მზიანი ღამის“ სხვაგვარი გაგებაც.

სპეციალისტები თვლიან, რომ დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისით, ღმერთი არის ნათელი, ოღონდ ჩვენთვის უცნობი ნათელი, რომელიც ჩვენთვის უხილავი და მიუწვდომელია, ჩვენთვის იგი ბნელია, წყვდიადია. იგი ჩვენთვის არის ღამე, რადგან მისი მზერა შეუძლებელია. ეს წყვდიადი ღამე ბრწყინავს უდიდესი ნათელით, რომელიც ისე ძლიერ კაშკაშებს, რომ ჩვენ თვალს გვჭრის და დანახვის საშუალებას გვისპობს. ეს წყვდიადი არის უფრო მანათობელი, ვიდრე ნათელი, ამიტომ ვრწმუნდებით, რომ ის არის ღმერთი ანუ მზიანი ღამე, ხოლო მისი ხატია მზე, რომელსაც ვხედავთ. მაშასადამე დიონისე არეოპაგელის ახსნით „მზიანი ღამე“ არის ღმერთი, რომლის ხილვაც შეუძლებელია ზებუნებრივი სიკაშკაშის გამო (კვანჭილაშვილი,1989: 196–197).

ნოდარ დუმბაძისთვის „მზე ხატია მზიანი ღამისა“. მზე თავად ღმერთია.

ავთანდილის სიტყვები: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს“, არეოპაგელის ახსნის მიხედვით სავსებით გასაგები ხდება. ბნელი წყვდიადი, მზიანი ღამე, არის ღმერთი ნათელი, ღმერთი უხილავი, მისი ხატი კი არის ხილული მზე.

შეეძლო ნოდარ დუმბაძეს ამ აზრით ეხმარა ტერმინი „მზიანი ღამე“? თუ მწერალი ღმერთად სიკეთეს და ყოველივე ნათელს, საუკეთესოს მიიჩნევს, მაშინ ეს შესაძლოდ მოჩანს. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ მზიან ღამეში ვივარაუდოთ უბრალოდ ღამე, რომელიც იმავე დროს მზით არის სავსე, ოღონდ იმ პირობით, რომ აქ მზედ გვესმოდეს სიკეთე, რითაც სავსეა თემურ ბარამიძე და რომანის ზოგი პერსონაჟი, რომლებიც „ღამესაც“ ანათებენ.

„– არ დაგწვა ამ უპატრონომ? – ჰკითხა მილიციელმა და მზეს გახედა.

–მზეზე ამბობ მაგას? – ჰკითხა მღვდელმა.

–აბა, მთვარეზე? – თქვა დასიცხულმა მილიციელმა.

–ახლავე პირჯვარი გადაისახე და თქვი, ღმერთო შეგცოდეო! – უთხრა მღვდელმა მკაცრად.

–მილიციელმა გაკვირვებით შეხედა მღვდელს, ვინმეში ხომ არ ვეშლებიო და ვარსკვლავიანი ქუდი ორივე ხელით შუბლზე მაგრად ჩამოიჩაჩა. მღვდელი მიხვდა თავის შეცდომას და ახლა დაყვავებით აუხსნა:

– მზეს არ ეკადრება ეგ, მზე ხატია მზიანი ღამისა, – თან სასოებით ახედა მზეს.

– მზიანი ღამე რაღა ოხრობაა? – ჰლითხა თავის მხრივ მილიციელმა.

მღვდელი გაშრა.

– ღმერთო, შეუნდე ცოდვილს, რამეთუ ბრიყვია, უმეცარი და არ ესმის რას ლაპარაკობს, – შეავედრა უფალს მილიციელი მღვდელმა.

– მაინც რა არის მზიანი ღამე? – ჩააცივდა მილიციელი.

– ღმერთი!

– თან მზეა და თან ღამე?

– ჰო და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თავლისათვის, ამიტომ არის მზიანი ღამე! – აუხსნა მღვდელმა.

მილიციელს გაეცინა.

– ახედე მზეს! – ისევ უბრძანა მღვდელმა მილიციელს.

– ვერ ვუსწორებ, მამაო!

– უყურე, უყურე დიდხანს.

მილიციელმა თავს ძალა დაატანა. როგორც მჭრელი დანა, ისე სჭრიდა შუქი თვალის გუგებს, მაგრამ შერცხვა და გაუძლო.

– რა ფერია? – ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ მღვდელმა.

– სპილნძისფერი!

– კიდევ უყურე.

მილიციელს ისე მოეჩვენა, თითქოს მზე ჩამოეღვენთა თვალებში და უნებურად ხელი აიფარა თვალებზე. აიფარა და განცვიფრდა.

– გაშავდა, მამაო, –თქვა მან ათრთოლებული ხმით,– მზე გაშავდა!“ (დუმბაძე,2011:322).

ახლა შევხედოთ სათაურს „მე ვხედავ მზეს“, სადაც მზე აგრეთვე დიდი აზრობრივი დატვირთვით გამოირჩევა. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სოსოიას მეგობარი ხატია ბრმა ქალიშვილია, რომელიც თითქმის მხოლოდ მზეს ხედავს, ის „ხედავს“ აგრეთვე სოსოიას,მაგრამ ეს იმიტომ, რომ ეს ჭაბუკი ხატიასათვის არის თვით მზე, რომელიც მას სულს უთმობს, ქვეყნიერებას უნათებს. ხატიასათვის სოსოია

გატოლებულია მზესთან და ეს სავსებით დამაჯერებელია, მკითხველს იგი ძალდაუტანებელ, ბუნებრივ სინამდვილედ ესახება: ხატია ხედავს მზეს და სოსოიას, რადგან ისინი ორივენი არიან ძლიერი სინათლისა და სითბოს წყარო, რაც სიკეთესა და სიყვარულში ჰპოვებს გამოხატულებას (კვანჭილაშვილი, 1989: 197– 198)

„–მამა, რა გითხრა ბათუმში ექიმმა?– ჰკითხა ხატიმ მამამისს.

–რამდენჯერ უნდა გითხრა გოგო?– გაუჯავრდა ბესარიონი.

–თქვი, მამა, სოსოიას უთხარი,– შეეხვეწა ხატია,

–რაო და მზეს თუ ხედავს , სინათლეს დავუბრუნებო...–თქვა ბესარიონმა.

–გესმის, სოსოია?“(დუმბაძე,2011:22)

სოსოია არა მარტო ხატიასთვის არის მზიანი ჭაბუკი, არამედ იგი მზიური ჭაბუკია საერთოდაც: მამიდასთვის, ბეჟანასთვის, სოსოია რუსისთვისაც და მკითხველისთვისაც, რადგან ამ ჭაბუკში თავმოყრილია ყველაზე საუკეთესო ადამიანური თვისებები:სათნოება, სიკეთე, ხალისი, სიცოცხლის სიყვარული, სითბო, კეთილშობილება, ადამიანთა გაჭირვებაში თანადგომა, ყოველივე ეს კი არის უშუალოდ მზიური თვისებები, რითაც კაცი მაღლდება და მზეს უტოლდება.

ბრმა ხატიას მიერ მზის დანახვა რომანში გაიაზრება არამარტო პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სხვაგვარადაც: მიმდინარეობდა მძიმე ომი, რომელიც ხალხს ღამესავით აწვა, საშინელი განცდებით ავსებდა, მაგრამ მაშინაც კი ადამიანებს არ ტოვებდა გამარჯვების რწმენა, ხოლო ომში გამარჯვება გაიგივდება ბნელზე მზის სინათლის გამარჯვებად. შეილება ვივარაუდოდ რომ მტრის დამარცხებისა და ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა მწერალმა გამოხატა სიტყვებში „მე ვხედავ მზეს“. ასეთი გააზრებით რომანის სათაური უფრო ფართო და ღრმა აზრს იძენს.

შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ნოდარ დუმბაძე სიტყვათა გაერთებაში „მე ვხედავ მზეს“ სდებს მზიურ აზრს, რითაც აქ მზე უტოლდება სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, გამარჯვების რწმენის ამაღლებულ საწყისებს.

მწერლის მიერ დახატული მზიური ჭაბუკები არამარტო ხასიათებიის მზიურობით გამოირჩევიან არამედ მათ თვითონაც სწამთ მზის სასწაულებრივი ძალა. თუ „თეთრი ბაირაღებიდან“ მოყვანილი ადგილით ნათლად დავინახავთ ზაზა ნაკაშიძის

დამოკიდებულებას მზისადმი, ახლა ვნახოთ თემო ბარამიძის რწმენა მზის ძალისადმი: „–ხომ არის ზღვა და მზე ორი სასწაული?, მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასდროს მოგწყინდება... ხომ, დედა?

–არა, შვილო! თქა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გააქნია, იგი დიდხანს დუმდა ალბათ რაღაცას იგონებდა.

– დედა,– გავახსენე მე თავი.

– მზე– მზე სასწაულია,– დაიწყო მან დუმილის შემდეგ, –მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი უსაზღვრო ტრამალი... მზით დამწყვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა... არის წუთები ცხოვრებაში, რდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას, მხოლოდ იმიტომ,რომ იგი ჩადის, და გიხარია მის ჩასვლა, რათა ხელმეორედ არარ ამოვიდეს ასეთი ულმობელი, როგორიც გუშინ. გაიგე, შვილო?

– დედა, შენ ხომ ხედავ, რომ მე პატარა აღარა ვარ. შენ ისევ ის რვა წლის გგონივარ. ის, რაც მეკარგი მგონია, შენ არ მოგწონს, რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ეჭვის თვალით იყურები. ან დაივიწყე, დედა ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა?– ვთხოვე მე და კალტაზე ვაკოცე.

ამ დიალოგიდან კარგად ჩანს თემოს უსაზღვრო სიყვარული მზისადმი და ის სასწაულებრივი ძალა რაც მას ახასიათებს. ტანჯვისა და მწარე თავგადასავლებისაგან გატეხილი დედა, რომელსაც შუა აზიაში გადასახლებისას განუცდია მზის მომაკვდინებელი პაპანაქება მზეს სხვა თვალით უყურებს და ის თავისებურად მართალია, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა და სხვა ახსნა აქვს. თემოს მგზნებარე სიყვარული მზისადმი, სასწაულად მისი მიჩნევა, რასაც ნოდარ დუმბაძე მკითხველშიც ამკვიდრებს არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად არის მტავარი და ფრიად საინტერესო. ეს არის სისტემა მწერლის იდეალებისა მისი ჰუმანიზმისა, მისი სიკეთისა, რასაც არამარტო უწილადებს ტავის მკითხველებს, არამედ მათშიც აღვივებს ასეთივე გრძნობებს, აზრებს სულისკვეთებას, იდეალებს.

აქ შეიძლება ერთგვარი პარალელი გაგვევლო მწერლის შემოქმედების ამ მხარესა და ხალხური შემოქმედების იმ მხარეს შორის, სადაც ხალხისათვის სასიკეთო საქმეებს სწორედ მზეჭაბუკები აკეთებენ. ზღაპრული მზეჭაბუკები სწორედ სიკეთითა

და მზიურობით გამოიჩებიან, ამიტომაც ხალხი მზეჭაბუკებად ნათლავს. ნოდარ დუმბაძის ზურიკელა, სოსოია, ზაზა, თემო, ბაჩანა გარკვეულად სწორედ ზღაპრული მზეჭაბუკების შთამომავლებად მოჩანან.

იდეალები, რომელთა დამკვიდრებასაც ნოდარ დუმბაძემ თავისი ნაწარმოებებით უწყობს ხელს არის მაღალი და მიმზიდველი, მშვენიერი და ჭეშმარტად მზიური. ეს განსაზღვრავს ამ მწერლის ჰელიოტროპიზმს.

მზეს ნოდარ დუბაძისთვის სიმბოლური დატვირთავ აქვს. ავტორი სიტყვას, სიტუაციასა თუ ხასიათს საკმაოდ ხშირად ტვირტავს მეორადი სიმბოლური მნიშვნელობით, რაც ართულებს ნაწარმოების შინაგან სტრუქტურას. მაგალითად: ციხის საკანი ნოეს კიდობანთანაა გაიგივებული, მასში დამწყვდეული ათი პატიმარი კი ათი მცნების ასოციაციას ბადებს, რომელნიც ამა თუ იმ მცნების დარღვევის პერსონიფიკაციას წარმოადგენენ. მებურიშვილი– „არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“; გულოიანი– „არა კაც ჰკლა“; და აშ. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბიბლია ნოდარ დუმბაძისთვის არსებითად ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი და საუკუნეობით დაგროვილი ადამიანური გამოცდლების ის კრებულია, რომელსაც დღესაც შეუძლია ბევრი საყურადღებო რამ გვითხრას (იმედაშვილი, 1977: 250).

მე მზე მიყვარს ძალიან“:– წერს ნოდარ დუმბაძე თავის უბის წიგნაკში. „მაგრამ მზე მიწაში ვერ აღწევს, ამიტომ, ბუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მიწას კი არა, ცას მივაშურო– ცაში წავიდე“ (დუმბაძე, 2006:258).

გურამ გვერდწითელს თავის ნაშრომში რამდენიმე ფურცელი აქვს დათმობილი ნოდარ დუმბაძის, შემოქმედებაზე. წერს, რომ დუმბაძის რომანში და მოთხრობები დიდი სინათლითაა სავსე, მაგრამ იმიტომ კიარა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს შეჰყურებს. უბრალოდ ეს მისი სულის ნათელის წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა, თორემ, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ნოდარ დუმბაძეს უპირატესად ჩვენი ცხოვრების დრამატიზმით დამძიმებული გარემოებები აინტერესებს, რომლებიც მწვავე ტკივილებთან ერთად აწრთობენ კიდეც ადამიანის სულიერ სიმტკიცეს.

მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანისა და მზის დიდებული საგალობელია. მისი გმირები სიკეთითა და კეთილშობილებით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, ხალისითა და ცხოვრების წყურვილით, სიამაყითა და თავმდაბლობით, სიძლიერითა და გულისხმიერებით არიან სავსენი და ამ მშვენიერი ადამიანების მფარველად და ნუგესად კაშკაშებს მზე დღისითაც და ღამითაც, როგორც სიმბოლო ამქვეყნიური სინათლისა და სითბოსი. ხოლო როდესაც ირგვლივ უიმედობაა მზეც ჩადის. მაშინ, როცა ომის დაწყების ამბავი გავარდა და სოფლიდან წავიდნენ ახალგაზრდა ბიჭები, ნოდარ დუმბაძე წერს: „და უცებ მზე ჩავიდა, თითქოს დაღამდა, თითქოს ქვეყანა ორად გაიყო: ათ საბარგო მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად, რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს“ (დუმბაძე,2011:16).

მწერლის ყოველ რომანსა თუ მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც უნდა გვაზიარებდეს იგი, მუდამ იმედიანი ფინალი აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით– ადამიანი, მზე, სიცოცხლე მარადულია (გვერდწითელი,1981: 37–40). „მე ბებია, ილოკო და ილარიონის ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ: „მე ვიგრძენი, რომ ვიღაც შემოვიდა ოთახში, დადგა ჩემს უკან და ცრემლები მოიწმინდა, მერე დაიხარა, რომ მხარზე ხელით შემხებოდა და წამოვეყენებინე, მაგრამ გადაიფიქრა, მე ვიგრძენი, რომ იგი აღარასოდეს წავიდოდა აქედან და არ დამტოვებდა მარტო. მე უკან არ მომიხედია, მაგრამ ვიგრძენ, რომ ეს მერი იყო, რადგან მას ამ ბნელ ოთახში უზომო სინათლე შემოჰყვა. მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე და ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია...“ (დუმბაძე, 2011:210)

ივანე თარბას მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ნოდარ დუმბაძეს ძალიან უყვარდა მზე. „მისი ყველა ნაწარმოები მზის სითბოთია გამსჭვალული და, ასე გეგონებოდათ თვით მისი პიროვნებაც მზის სხივებს გამოსცემდა“(დუმბაძე, 2011: 385).

„მზის ჩასვლა მწერლისთვის ბუნების განსაკუთრებით საინტერესო მოვლენა იყო. დღევანდელი დაისი არ ჰგავს გუშინდელს, ხვალინდელი არ ემსგავსება ადრინდელს. და მზის ყოველი ჩასვლა მთელი სამყაროა, აღმოჩენაა“. ივანე თარბა

იხსენებს ნოდარ დუმბაძის და მის საერთო მეგობარს, გულდა კალაძეს, რომელიც ცნობილი პოეტის კარლო კალაძის შვილი იყო. გულდა მაშინ მძიმე ავადმყოფი ყოფილა და თავისი სიცოცხლის მიწურულს, ყოველ საღამოს გალავანთან იდგა და მზის ჩასვლას გაჰყურებდა. ნოდარი ყოველ საღამოს თურმე მასთან მიდიოდა და ერთად უყურებდნენ მზის ჩასვლას. გულდა იყო ის ადამიანი, რომელსაც მიუძღვნა მოთხრობა „მზე“ (დუმბაძე, 2011: 388). „ვუძღვნი ჩემი მეგობრის გულდა კალაძის ხსოვნას. მან პირველადდამანახა ზღვაში ჩამავალ მზის ქიმზე მწვანე შუქი“–ეს ტესტი მწერალს ეპიგრაფად აქვს წამძღვანებული.

მოთხრობაში ვკითხულობთ მზის დიად და ძლიერ თვისებებს: „მზემ ისევ აიწია. კავკასიონის კალთები, ნაპრალები, ხევები ზათქით, გუგუნითა და თავაწყვეტილი ზვავების შემზარავი გრიალით აივსო. ერცახუ ორთქლში, ნისლსა და ავარდნილი თოვლის ბუღში გაეხვია“ (დუმბაძე,2011:311).

მოთხრობაში ადამიანების მანკიერებაა წარმოდგენილი, ის მანკიერებები, რომელსაც მზე და ზღვა ხედავს.

„–რასა იქმნ?

–ადამიანი დამეხრჩო სამი დღის წინ, სადრაც უბეში დამეკარგა, ძალიან ვღელავდი, ვაითუ ვერ ვიპოვო–მეთქი. გუშინ ვიპოვე და აი, დავწყნარდი, მოვისვენე.

–ვინ იყო? – დაინეტერესდა მზე.

–არ ვიცი, ეტყობა არავინ, არც უძებნიათ, მე თვითონ გავრიყე და შემდეგ იპოვეს. ორმა იპოვა და ორმა წაიღო. სად არც ის ვიცი“(დუმბაძე, 2011:313).

..„–რა ამბავია?– ჰკითხა ზღვამ ოთახში შესულ მზეს.

–ადამიანი კვდება! – უპასუხა მზემ.

–ასე უბრალოდ, კვდება და მეტი არაფერი? – ჰკითხა გაკვირვებულმა ზღვამ.

–ექიმებმა უკვე მიატოვეს,– თქვა მზემ და მხრები აიჩეჩა.

–შენ ნუ მიატოვებ, – გაუმეორა ზღვამ.

–როგორ თუ ნუ მივატოვებ, ჩემი გაჩერება ვინ გაიგონა?! – გაუკვირდა მზეს.

–ნუ მიატოვებ, – გაუმეორა ზღვამ.

–მე რას ვუშველი, კვდება. ესეც არ იყოს, ადამიანებმა უკვე მიატოვეს.

–შენ ადამიანებს ნუ უყურებ, ადამიანები ძალიან ხშირად და ადვილად ტოვებენ ერთმანეთს. შენ თუ არ მიატოვებ, ადამიანი არ მოკვდება. ნუ მიატოვებ!– სთხოვა ზღვამ.

–არ შემიძლია. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, ხვალ, ზუსტად ამ დროს, მოვიდე კვლავ, – იმართლა თავი მზემ. ოთახიდან გავიდა. აივნის მოაჯირს გადაალაჯა და წავიდა.

–მიდიხარ?– ჰკითხა ზღვამ.

–მივდივარ!– უპასუხა მზემ უკანმოუხედავად“(დუმბაძე,2011:316).

დუმბაძის მოთხრობებში შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც თავისებურ გამოვლინებას პოულობს უტყვი და უსულო ბუნების ამეტყველებისა და გასულიერების ტენდენცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობები : „მზე“ და „ხაზარულა“. მწერლის წარმოსახვით, მზე უზენაესი სასწაულია, ღვთაებაა, სიცოცხლის მაგიური შემოქმედი და ზღაპრული მშვენიერებაა, სინათლისა და სიკეთის უშრეტი წყაროა, ადამიანისადმი მადლისა და სათნოების, რწმენისა და იმედის მიმნიჭებელი ღვთიური ძალაა, ხშირად კაცის ენითაც ამეტყველებული, ღრმა აზროვანი სიმბოლური ქვეტექსტებით, რომ გვესაუბრება ცხოვრების არსსა და მიზანდასახულობაზე. (ნიკოლეიშვილი. 2002; 536)

ნოდარ დუმბაძისთვის მზე მაცოცხლებელი ძალაა. მზე ის კოცონია, რომლის გარეშეც ყველაფერი გაყინული უსულგულო იქნება. „მე მგონი, მზე ზეცის ვეება ტრამალზე ანთებული კოცონია, ხოლო მის გარშემო მბრუნავი პლანეტები – ცდომილები(შვიდი ცდომილი, ალბათ, თავისი თანამგზავრებით) ცის ის ბინადარნი– რომლებიც ხელს და სულს ითბობენ ამ მაცოცხლებელი ცეცხლის გარშემო. დროდადრო შორდებიან, მერე კვლავ უახლოვდებიან და ასე შემდე... ვაი იმ ცდომილს, რომელიც ამ კოცონს საერთოდ გაშორდება“. (დუმბაძე, 2006:258)

„დიდება შენ, სიყვარულისა და სიცოცხლის მომნიჭებელო მზეო, დიდება შენ, სიცოცხლეო!“ ამას ამბობს კაცი, რომლის სიცოცხლეც სიძნელეთა წყება და მასთან ბრძოლით არის სავსე, ამბობს იმიტომ რომ დიდი სულის ადამიანია (გიბუტი, 1982:57).

„მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე ესვენა და მძიმედ სუნთქავდა. სასთუმალთან მარად თოვლიანი მყინვარწვერი ედო. შვიდფერიანი ცისარტყელით შუბლწაკრულ, ღონემიხდილი მკლავები სარეცლის ორთავე მხარეს გადაეყარა... მზე სულს ღაფავდა“. ასე იწყება სივდილის სიკვდილის დიადი სიჩუმის მოახლოებით შთაგონებული შემოქმედის უძლიერესი სიმბოლო, რომელიც „მარადისობის კანონის“ ოთხიოდე გვერდზე იგავში გადაიზრდება.

დუმბაძის მოთხრობებსი ვხდებით შავ მზესაც: „ჩამქრალი მზის კაბადონზე ორი შავი დისკო გამოისახა, ერთი დიდი, ვეებერთელა, მეორე კი ძალიან პატარა, მის ჩრდილს ამოფარებული“. და კიდევ ცოტა მოშორებით, მაგრამ ახლა შედარებით უფრო ოპტიმისტურ მიკროკონტექსტში: „შავი დისკო მუქი სპილენძისფერი გამხდარიყო, იგი თანდათან ხურდებოდა, წითლდებოდა, ვარვარდებოდა, ყვითლდებოდა და ნათლდებოდა“.

ავტორი გვესაუბრება მომაკვდავი მზის ჩამქრალ თვალებზეც:

„- გვიანია!... - თქვა მზემ და ცალი თვალი ჩაუქრა“.

„- მზემ სუნთქვას მოუხშირა, ახლა იგი ძლივსღა ფეთქავდა, მხოლოდ ცალი თვალით გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას“.

„- მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და მეორე თვალიც ჩაუქრა“.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში მზეს, სინათლეს ძალიან დიდი მნიშვნელოვანი იდეურ-ემოციური ფუნქცია აკისრია. ასეთივე დიდია ამ მცნების როლი მომაკვდავი მზის იგავის ესთეთიკური ღირებულების შექმნაში. მაგრამ, ყველასთვის, ვისთვისაც ქართული ენა, მშობლიური ენაა, დღესავით ნათელია, რომ მზის მეტაფორულმა, სიმბოლურმა გააზრბამ სილამაზისა და სიყვარულის ასპექტში რუსთაველის სტიქიაში იპოვა უმაღლესი მხატვრული გამოხატულება. ნოდარ დუმბაძის სიმბულური იგავი „მარადისობის კანონში“ მრავალმხრივი ასოციაციებით უკავშირდება ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. (ჟორდანია, 1986:45)

ბუნების ესთეტიზირება, „მარადისობის კანონში“ მხატვრული მეტაფორული აზროვნების სტრუქტურის თავისებურებით ჩვენში ქართული ლიტერატურის

საუკეთესო ნიმუშების ასოციაციებს იწვევს. მიუხედავად ამისა, მის მიერ შექმნილ სურათს ორიგინალურობისა და ექსპრესიულობის თვალნათელი დაღი ადევს:

„მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე იწვა და ვეღარ დგებოდა. იგი დილით ამობრძანდა კავკასიონზე, ფეხისწვერებზე აიწია და ის- ის იყო უნდა გაფრენილიყო ცის ლაჟვარდში, რომ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო. მზემ ჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მერე მეორეზე. გულშეღონებულმა თავი მყინვარს მიასვენა და ასე დარჩა, კავკასიონის ვეებერთელა თეთრ სარეცელზე გაშოტილი“.

ბუნების ფონის ამგვარი სიკაშკაშე, ცოცხალი, ხასხასა ტილოები ობიექტური რეალობისა ნოდარ დუმბაძის შემქმედების ერთ- ერთი შთამბეჭდავი ფაქტორია. ბუნება ასეთ სურათებში თავისთავად არის დიდი ეთეტიკური ტკბობის საგანი, მაგრამ მისი ფუნქცია ამით არ მოიწურება. უფრო სწორე იქნებოდა გევთქვა რომ იგი მხოლოდ მასალაა, რომლიდანაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი ედეურ - ემოციური შინაარსი აღმოცენდება. მთავარი აქ კლიმატია, პოეზია, გრძნობების ჩაგონება, სიმბოლო. მშვენიერებისა ბუნებისა მხოლოდ უკანა დეკორაცია არის ადამიანის შინაგანი ბუნების ახსნა- ინტერპრეტაციისათვის.

ამ სიმბოლოს შემოყვანა იგრძნობა სხვადასხვა ეპიზოდების დროს. თავისთავად მზის პერსონიფიკაცია ლიტერატურაში არ არის უნიკალური მოვლენა (ჟორდანია, 1986:47).

დუმბაძის ნაწარმოებში მზისადმი მიმართება მაინც უპირატესად ვლინდება მთავარი გმირების ხასიათში და არა ცალკეულ სიტყვებსა და ტერმინიბში. ეს გმირები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავიანთი ბუნებით, მისწრაფებებით, სულიერი სიწმინდით ადამიანთან ურთიერთობით და საქმეებით არიან ისეთნი, რომ მზის სინათლე და სითბო , სიკეთე და შუქიანობა ამკობთ. ამ თვალსაზრისით თითქმის ერთნაირად, თუმცა სხვადასხვა ასპექტით, მზიურნი არიან ზურიკელაც, სოსოიაც, თემურიც, ავთოც, ზაზაც, ბაჩანაც. მათ იმდენი მზიური ბუნება და თვისება აქვთ, რომ ამ სინათლით, მათ მიერ გამოსხივებული შუქით, ყოველგვარი მრუდე და არაწმინდა ისევე ქრება, როგორც ნამდვილი მზის სხივებით ნათდება ბნელი. გარდაამისა, ნოდარ

დუმბაძის მზეს სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც ერთის მხრივ უფრო ღრმას ქმნის ნაწარმოებების შინაარსს.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვრწმუნდები იმაში, რომ ასეთი მზიანი გულის პოეტი ნამდვილად ვერ იცოცხლებდა ხელოვნური გულით და ამიტომაც თქვა უარი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. ნოდარ დუმბაძე სიკვდილის შემდეგ ნამდვილად მიწას კიარა ცას მიაშურებდა. მწერალს უყვარდა მზე და მისგან მიღებულ სითბოს ქვეყნიერებას უზიარებდა. მზით გამთბარი ადამიანი სხვანაირად ვერც დაწერდა.

VI თავი

უტყვი პერსონაჟები

ნოდარ დუბაძის შემოქმედებაში ადამიანებთან ერთად არიან ცხოველები, რომლებიც პერსონაჟების როლს ასრულებენ. ეს უტყვი პერსონაჟები უდიდესი სიყვარულითაა დახატული და ყოველთვის ნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაწარმოების აზრობრივი ჩანაფიქრის გამოხატვის საქმეში. სწორედ ასეთ ღრმადმეტყველ პერსონაჟებად დაამკვიდრა მწერალმა ჩვენს ცხოვრებაში ძაღლის, ხარის, ძროხის, დათვის, ფრინველის... არაერთი ორიგინალურად და ემოციურად გააზრებული მზატვრული სახე.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „კორიდა“, რომელიც ნოდარ დუმბაძემ 1974 წელს დაწერა. მოთხრობის შინაარსი ასეთია: ესპანეთში ტურისტად ნამყოფი დათო თავის მეგობრებს უყვება, თუ როგორ შეხვდა ქალაქ ვალენსიაში უმშვენიერეს ესპანელ ქალს, რომელმაც იგი კორიდაზე დასასწრებად მიიპატიჟა. იმ დღეს კორიდაზე მუშაობდა ესპანელთა სალოცავი ხატი, მატადორი დომინგინი... არენაზე შემოუშვეს უმშვენიერესი თეთრი ხარი, რომლის მსგავსი თურმე წელიწადში ერთხელ გამოჰყავთ. გახელებულ ხარს იერიში იერიშზე მიჰქონდა, თუმცა ერთხელაც წითელი სისხლით შეიღება. ახლა ბანდერილიები დააყარეს და ხარი სულ გადაირია. ხარმა ოდნავ სული მოითქვა და ისევ განაახლა ბრძოლა, მაგრამ დომინგინიმ აჩვენა საოცარი ხელოვნების ფვეიერვერკი და ხარიც დაიშრიტა. „მაშინ ამოიღო დაშნა დომინგინიმ და ხარის წინ დადგა. ახლა მის პირისპირ, თითქოს შეუცვალესო, თეთრის ნაცვლად წითელი ხარი იდგა...“

მოთმინების ძაფი დათოს სწორედ აქ გაუწყდა., რადგან თვალწინ დაუდგა ქართული ოჯახის წითელი ხარი, რომელიც ოჯახის მარჩენალი და დამპურებელია. სწორედ ასეთი ხარი უნდა მოეკლა ესპანელს. დათოს აღარ ახსოვდა როგორ დატოვა კორიდა, ის ქალი და როგორ გავარდა ქუჩაში. ახსოვდა მხოლოდ როგორ მისდევდა უკან ვულკანიდან ამოფრქვეულ გავარვარებულ ლავასავით კორიდას ბღავილი და ცხელი სუნთქვა... დათო გემზე ავარდა და შემდგომ ფეხი არ დაუდგამს ესპანეთის მიწაზე...

შემდგომ დიალოგში ახალგაზრდები საუბრობენ:

– ისე მოიქცეს, ბატონო, როგორც ჩვენ, ქართველები ვიქცევით!...

– მაინც?

– ყოველ შემთხვევაში, ასე წამებით ხარის მოკვლა ბარბაროსობაა“.

ავტორი გაცხარდა: „...აბა ის არის კარგი, ერთი წლისას რომ დაგკოდავენ, ორი წლისას რომ გაგხედნიან, სამი წლისას, რომ უღელში შეგაბამენ... მერე დაბერებულს, დაჩაჩანაკებულს, ვენებდაბერილს, გაძვალტყავებულს ყელში დანას გამოგისვამენ... და ოთუსბირად გაგყიდიან. ეს არის კარგი?!

თურმე ჩვენც, ქართველებიც, უდიერად ვექცევით ჩვენს ხარებს, მაგრამ დიდი, კონტრასტული განსხვავებაა ესპანეთსა და ქართველებს შორის.

კრიტიკოსი სოსო სიგუა წერს: „კორიდაში“ სხვისთვის ცირკი და სანახაობა – ქართველი კაცისთვის ტრაგედიად არის წარმოსახული, რომელსაც შემაძრწუნებელ რეკვიემად გასდევს შოთა ნიშნიანიძის საოცარი სტრიქონები ლექს „ხარი“–ში. რამდენიმე გვერდის მანძილზე თითქოს სალაღობოდ დაწყებული მოთხრობა, იტვირთება ღრმა ადამიანური სევდით“.

კორიდას არენის ხარი ესპანეთში ტრაგედიის საწყალობელი პერსონაჟია. იგი უთუოდ უნდა მოკვდეს საშინელი სიკვდილით და ამით მაყურებელს აამოს. იქ გასართობად მისულ ხალხს დავიწყებული აქვს ხარების კეთილი სამსახური მათ მიმართ. ამ სიკეთეს სიბოტორით უბრუნებენ და თან ისე რომ სინდისი არ ქენჯნით, არ ნაღვლობენ და არც კი ებრალებათ სულიერი არსება. მკვდარ ცხოველს არენიდან მძორივით გაიტანენ. ტორეადორს კი აპლოდისმენტებით აჯილდოვებენ. მათთვის ის

არის რაინდი და არა ხარი. მაყურებელი ამ შემთხევავში წამქეზებელია რომ ეს უწყინარი ცხოველი წამებით მოკლან.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფართოდ ცნობილი მოთხრობა „ძაღლი“. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობას არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები მიეძღვნა, ნოდარ დუმბაძემ მაინც შეძლო სრულიად ახლებურად გაეაზრებინა ეს დამოკიდებულება.

ნოდარ დუმბაძეს უყვარს ცხოველები და დიდ ადგილს უთმობს თავის ნაწარმოებებში თუმცა არ მიმართავს ცხოველთა პერსონიფიცირების ხერხს. ძაღლი მურადა, ძროხა ფაქიზო, დათვი მერაბია, მეზობლისგან ნათხოვარი ვირი, რომლითაც სოსოიადა ხატია მოგზაურობენ, თავიანთ ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეულ ფუნქციას ასრულებენ ნაწარმოებებში. ასევეა ის უსახელო ძაღლიც, რომელიც გოგიტას აედევნა ბაზრის სასადილოდან. ძაღლმა იგრძნო ბიჭისა და ბაბუამისის გულკეთილობა, დააფასა მათი მზრუნველობა და ერთგულად შეუდგა ახალი პატრონების სამსახურს, მაგრამ გავიდა ხანი და უეცრად სოფელში ცოფიანი ძაღლის შიშით ძაღლების გაწყვეტა გადაწყვიტეს.

ეს ამბავი იმით დაიწყო, რომ ერთ დილას, სოფელში დაგლეჯილი ძაღლი იპოვეს და იქვე დამარხეს. ნაშუადღევს ძაღლს მეზობელი სოფლიდან კირილე მამალაძემ მოაკითხა და ითხოვა, ის ადგილი მაჩვენეთ, სადაც ძაღლი დამარხეთო. „წავყევით და ვაჩვენეთ საფლავი ამოთხარა ძაღლი ამოათრია და დააკვირდა“.

როგორც ვხედავთ, მთხრობელის რემარკა აქ უაღრესად ძუნწი, მაგრამ ამავე დროს ტევადი და ამომწურავია. სხვა ვინმე ნოდარ დუმბაძის ადგილას ამ ამბავს მთელ გვერდს თუ არა, მთელ პასაჟს მაინც დაუთმობდა. დაუთმობდა და წააგებდა კიდეც, რადგანმოცემულ სიტუაციაში მეტის თქმა არ იყო საჭირო. სიტუაცია კი, ვიდრე ძაღლის საფლავიდან ამოთხრის მიზეზი გაირკვეოდეს, საკმაოდ სასაცილოა. და ნოდარ დუმბაძეც რა თქმა უნდა არ აყოვნებს. შემდეგ, მოთხრობილია თუ როგორ დაერივნენ სოფლელები ძაღლებს თოფით გოგიტამ და ბაბუა სპირიდონმა თავიანთი ძაღლი მოსაკლავად არ დაანებეს და კინაღამ მეზობლების გადაიკიდეს. გოგიტა ძაღლი ვითომ მოსაკლავად წაიყვანა და მდინარი სპირას ჩუმად გაუშვა. ჭკვიანი ძაღლი

ყველაფერ მიხვდა და სოფელში აღარ დაბრუნებულა. დიდი ხანი არ გასულა, რომ ბაბუა სპრიდონი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მოთხრობაში დახატულია ორიოდე შტრიხით, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავად, სრულიად განსხვავებული დეტალებით (ჭუმბურიძე, 1988: 95–96).

ძაღლის მთელ ამბავს გოგიტა ჰყვება. საერთოდ, პირველი პირით თხრობა ნოდარ დუმბაძის საყვარელი ხერხია.

ამ უჭკვიანესი ცხოველის თვისებებზე ყოველგვარი ალეგორების გარეშე შეიძლება წერა, ასევე როგორც ეს ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში გვხვდება, მაგრამ ამასთან იგულისხმება ადამიანთა სამყარო და აქტიურობს ალეგორიული ასპექტი მოთხრობისა. ძაღლის სიცოცხლე ერთი ეპიზოდის აღწერაი ივარაუდება სწორედ ადამიანური ვალი, მწერალი მოაგონებს– უფრო მეტს ფიქრობდეს კაცი კაცზე, უფრო დიდი სიყვარული შეიძოს, ვიდრე ავლენს, უხესად თუ ვიტყვით არ აჯობოს სიყვარუსა და ურთიერთობაში ძაღლმა ღვინჯილია,1987:101).

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის დიდ განცდას, ბუნების გაადამიანებას დიდი საფუძველი დაუდო ვაჟა– ფშაველამ. ამ თვალსაზრისით პოეტმა ქართულ მწერლობას დიდი ტრადიცია დაუდო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი სიმაღლე რევაზ ინანიშვილის „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლისა“ და ნოდარ დუმბაძის „ხაზარულასი“. „ხაზარულა“ უსათუოდ ენათესავება ვაჟა–ფშაველას პოეტურ სამყაროს კანონებს, ბუნებასთან მიმართების იმ უნივერსალურ გამოვლინებას, რასაც ვაჟას სამყარო ჰქვია საერთოდ.

მძაფრია ამ მიმართულებით სუნთქვა „ხაზარულაში“ შესატყვისი დიდი ტრადიციისა, იგი გავსებთ სიხარულით, გადაყავხართ სხვა სამყაროში და პოეტურის ფუნქციის გაზრდით გაზიარებთ იმ დიდ გრძნობასთან, რაც აერთიანებს ადამიანისა და დანარჩენი სამყაროს საგნებს. ხაზარულას უნაყოფო ვაშლის ხის „განცდები“ წაკითხულია უაღრესად ფაქიზი თვალით და ბუნების განსაკუთრებული სიყვარულის ნიჭით (ღვინჯილი, 1987:104)

„–მართალი გამოდგა ბიჭი. ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა გაყუჩებულ და ფოთოლგაცვენილ ხეს. შუაღამემდე ფიქრობდა ხაზარულა,

ნაშაღამევს გული შეეკუმშა და ფესვებო მოთოკა... ფესვების ბადეში გახვეული ჭური ოდნავ შეტოკდა. იგრძნო ეს ხაზარულამ და ახლა უფრო მოთოკა ფესვები... ჭური რამდენიმე ადგილას აიტკეჩა, მაგრამ ისე, რომ შიგნიდან არ დაზიანებულა, მაშნ კიდევ ერთხელ მოზიდა ფესვების ბადე ხაზარულამ და პირველი ბზარი გაჩნდა ჭურს...“ „...წურავდა ქვევრს, უსაშველოდ მწყურვალივით სვამდა გაუთავებლად ამ უცნაურ წითელ სითხეს და ივსებოდა თანდათანობით სითბოთი, სიხარულით ადრე განუცდელი საამო ჟრუანტელით, თავდავიწყებითა და გატაცებით... დათვრა ხაზარულა და უცებ განათდა მისთვის ქვეყნიერება“ (დუმბაძე,2011:281).

რომანებში გვხედაბ ცხოველებთან პერსონაჟების იმპროვიზებუი დიალოგები.; პერსონაჯები ესაუბრებიან ცხოველებს, უზიარებენ თავიანთ ფიქრბს, გაანდობენ განწყობილებებს. ცხოველები ავსებენ ყოფით სურათებს, გარკვეული შნაარსი შეაქვთ მასში, ხელს უწყობენ განწყობილების შექმნას; მონაწილეობენ იუმორისტულ სიტუაციებში. და ხშირად ამ სიტუაციების ცენტრში იმყოფებიან.

იალრიონს ავადმყოფი თვალი ამოუღეს. იგი ხეიბარი გახდა, ცალთვალა. დადარდიანებული და შეწუხებული ილარიონი კატას ჩაისვამს კალთაში, ეფერება და ეჩურჩულება.

– შენ გეუბნები ეხლა, შენ, რა ვქნა ახლა მე, ცალთალა კაცი და ცალხელა ერთია ორივე. შენ იცი? კაცს რომ თვალისჩინი დაეკარგება რამეა იმისთვის ქვეყანა ბნელია, სკვარამია, უკუნეთია. თუ ცალი თვალისჩინი დაკარგა, ნახევარია მზეც და მთვარეც მისთვის, დღეც და ალიონიც. არ უნდა ამომეღო? მეორე თვალიც გაგიფუჭდებაო, ასე მითხრეს. ოდა, სულ არარაობას, ერთითვალი ვარჩიე. შენ გეყურება ჩემი? აფსუს მურადა რა გენიოსი იყო, შენ აბდალი ხარ, აბდალი“.

ილიკო კოლმეურნეობის მეველედ დააყენეს, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას ტავს ვერ ართმევს. თავმჯდომარე მისით უკმაყოფილოა და მოხსნით ემუქრება. ილიკო იძულებულია ოინს მიმართოს. იქმნწბა იუმორისტული სიტუაცია, რომლის ცენტრში თხაა.

– ვისია ეს თხა?

– ვისია და ჩემია, პირველად ხედავ თუ?

– კი, მაგრამ წვერი რა უყო?

– რა უყო და შევკრიჭე.

– რატომ?

– რატომ და რომ არ იცნონ! სდ გაგონილა აბა მეველემ საკუთარი თხა მიიყვანოს კანტორაზე დაჭერილი.

– მერე?

– მერე მაგი თხად არ ვარგა, ერთი ბოთლი რძე რომ დაალევინო ერთ ჭიქას არ მოიწველება. არც ხორცად ვარგა ძვალი და ყავია ცარიელი. მაინც ზარალია ჩემთვის. მივიყვან და მუშაობაში ჩამეთვლება.

– რომ იცნონ?

– რას იცნობენ, ისეა გამოცვლილი მეც აღარ მჯერა ჩემი რომაა“

ისევ, „მე ბებია ილიკო და ილარიონში“ მთელი თავი ეძღვნება ძროხა ფაქიზოს, რომლის ირგვლის შექმნილი იუმორისტული სიტუაცია გამოირჩევა სიმძაფრით და ემოციურობით, ბუნებრიობით და შთამბეჭდაობით.

კაცს უნდა ესმოდეს მხეცის , უნდა ახარებდეს მისი ხალისიანობა და აღონებდეს ბედურება. „ნუ გეშენია, დედაში“ მწერალი ხატავს დედა –დათვის ბელის და მისი მოკვლის შემაზრზენ სურათს და კიცხავს ადამიანებს,რომლებიც გულგრილად უცქერენ ცხოველის უბედურება, ხოლო ადამიანის კაცურ ღირსებად თვლის მხეცის ტრაგედიის გამო ტირილს.

რომანში ზოგჯერ ცხოველის ბედში, გადმოცემულია ადამიანის ბედი, როთაც მინიშნებულია რაიმე მნიშვნელოვანი იდეა. ცხოველთან დაკავშირებული სიტუაციებო ასოციაციებით მიგვანიშნებენ ადამიანთა ურთიერთობებს, მოგვაგონებენ სახეებს, რომლებიც დატვირთულია დიდი შინაარსით.

– დედა არ გახსოვს? დედა, ალიონზე რომ მოგიკალით, მაშინ შერბინა ტიროდა. არ გახსოვს?– ვეუბნები...

– თუმცა უკეთესია თუ არ გახსოვს, შენთვისაც უკეთესია და ჩემთვისაც უკეთესია. შენთვის იმიტომ, რომ არ იცი დედა თუ მოგიკლეს. ჩემთვის იმიტომ, რომ არ იცი მე რომ მოგიკალი, მაგრამ მე არ მომილავს, მერაბია, გეფიცები, არ მომიკლავს,

უბრალოდ, იქ ვიყავი და ვუყურებდი... ჰოდა, შენთვისაც კარგია და ჩემთვისაც, რომ არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, მაგრამ მე რომ მახსოვს? დედაშენიც რომ მახსოვს? რა ვქნა, მითხარი, მერაბია ყველაფერი რომ მახსოვს?“

დამაჯერებლად, დიდი ზომიერებით აღწერს ავტორი ავთო ჯაყელის გამომშვიდობებას დათვთან–მერაბიასთან. კაცი და მხეცი ერთმანეთს ეთხოვებიან, როგორც ადამიანი გამოეთხოვება ადამიანს. ავთო ჯაყელს გადაწყვეტილი ჰქონდა მერაბია ბათუმის ზოოპარკისათვის ჩაებარებინა, მაგრამ მერაბას ტყისაკენ მუწევს გული. მას ავთოსაგან განშორებაც უჭირს, მაგრამ ტყის ძახილი მხეცში ყველაფერზე ძლიერია; ზოოპარკის გალიაში მოსვენებულ ცხოვრებას ტყეში ონავრად ყოფნა უჯობს. მაგრამ დათვს ტყეში მესაზღვრე გადაეყარა და მხეცი მოჰკლა, რაც ულსატკენია და ტრაგიზმის გრძნობას აღძრავს, ფიქრს აგიშლის (ვარდოსანიძე,1974:332).

რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ერთ–ერთ თავში ძაღლ მურადას ერთ–ერთი მთვარი დატვირთვა აქვს. მისი მეშვეობით აუხსნა სიყვარული ზურიკელამ მერის.

„ მე ძალია მიყვარს მურადა, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიყვარდება, მურადას მე ძალიან ვუყვარდი. მე მურადას, როგორც კაცს, ისე ველაპარაკებოდი. მეც მესმოდა მისი ლაპარაკი, ყველაფერი მესმოდა, სულ ყველაფერი. მურადა რომ მოკვდა თავს მოვიკლავდი მეგონა, ჩემი მურადა ყველაზე კარგი იყო ქვეყანაზე. სიყვარულით მართლა შეიძლება გაგიუდეს კაცი“.

ამრიგად, ძაღლი, თხა, ძროხა, დათვი და აშ. ნოდარ დუმბაძის მოთხრობებსა თუ რომანებში ისეთივე პერსონაჟები არიან, როგორც სხვა ცოცხალი არსებები, რითაც მწერლის დიდი სიყვარული იკვეთება ცხოველების და საერთოდ ბუნების მიმართ. ნოდარ დუმბაძე აქაც გვანიშნებს და გვასწავლის, რომ ისინიც ჩვენი თანატოლებივით უნდა გვიყვარდეს.

დასკვნა

ნოდარ დუმბაძე არა მარტო მთელ მეოცე საუკუნეს, არამედ მთელ მწერლობას ამშვენებს.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. რომანის გმირები მსგავს მდგომარეობაში და მსგავს ასაკში არიან, როგორც წერის დროს მწერალი იყო. თუ დავუკვირდებით, ზურიკელაც ბებიასთან იზრდება, როგორც თვითონ მწერალი. მოქმედებაც გურიის სოფელში ხდება. სრულიად ახალგაზრდა მარტო ბებია ბაბუასთან დარჩა, ბევრი განშორება და ტკივილი გამოიარა მაგრამ ტანჯვას არ გაუბოროტებია. პირიქით, წერდა გულღია, კეთილი და ლამაზი იუმორით. იუმორთან დაკავშირბით ის ამბობს, რომ ეს იმიტომ აირჩია, რომ ასე ის ადვილად ჩამობანდა ადამიანებს ჭუჭყს. მისი იუმორი თბილ წყალს

შეადარა, ხოლო სატირა მდუღარეს. გულიანი სიცილი კი მხოლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლიათ. იგი უარყოფს სატირას.

მწერლის შემოქმედებას ამშვენებს ლამაზი პეიზაჟების აღწერა. ნოდარ დუმბაძე ფერადი ფერებით აღწერს სოფლებს, განსაკუთრებით კი მწერლის სოფელი, რომელიც მის მეხსიერებას შემორჩა. მწერლის ლირიკული გმირიც, მიუხედავად ქალაქში დამკვიდრებისა, სოფელთან კავშირს ამჟღავნებს, რაც ავტორის ბიოგრაფიის ანარეკლია.

ნოდარ დუმბაძის ყოველი სტრიქონი გულწრფელი აღსარებაა, რაც კიდევ ერთი თემაა მწერლის შემოქმედების სწორი შეფასებისათვის. გულწრფელობა მან არა მხოლოდ სტილურ არამედ რწმენის სიმაღლეზე აზიდა.

ნოდარ დუმბაძემ საჭირო დროს საჭირო სიტყვა თქვადა ღირსეულად დაიჭირა ადგილი ქართველ გამოჩენილ მწერალთა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი გ., თანამდევი სულები. გამომც. „მერანი“ თბ. 1093. გვ:5
2. ასათიანი გ., „მზიური ნიჭი“. კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები,ესკიზები.თბილისი 1977.გამომც. „საბჭოთა საქართველო“
3. ბოჯგუა გ., ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება. წიგნი II. შემეცნება. თბილისი 2015. გვ. 100
4. გვერდწითელი გ., „უსიყვარულოდ არ არსებობს“. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.თბილისი 1981. გვ: 37–40

5. დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად, გამომცემლობა“საქართველოს მაცნე“, თბილისი 2006. გვ:192–269

6. დუმბაძე ნ., თბილისი 2011.ექვსტომეული. ტომი 6. გამომცემლობა პალიტრა L, 2011. გვ:365–366. 407–412.

7. დუმბაძე ნ. პროზა, ტომი პირველი. თბილისი, 2011. გამომცემლობა პალიტრა L, 2011. გვ 245–246

8. დუმბაძე ნ. „შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები“ გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი–1984.

9. ვარდოსანიძე გივი, წერილები. გამომც. საბჭოთა საქართველო. თბ. 1974 გვ:330–332

10. იმედაშვილი კ., 30 წლის შემდეგ, გამომც „საბჭოთა საქართველო“ თბ.1977 გვ:170–197

11.კვანჭილაშვილი ტ. „ათი მწერალი“ ნოდარ დუმბაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1989. გვ 195–217.

12.მაღრაძე ე.წერილები. ტომი მეორე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1983. გვ:514–517

13. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა. ნოდარ დუმბაძე. ქუთაისი 2002. გვ:518

14.ნიკოლეიშვილი ა. ქართული ლიტერატურა. ტომი IV მეოცე საუკუნე. ნაწილი II.გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. გვ: 369–400.

15.ნიკოლეიშვილი ა.,XX საუკუნის ქართული მწერლობა ლიტერატურული პორტრეტები. გამომც.„საქართველოს მაცნე“, 2018

16.ჟორდანია სულხან, „სლუეტები“ გამომც.“საბჭოთა საქართველო“ თბ.1986.

17.ცაიშვილი ს. ლიტერატურული ეტიუდები. გამომც.“მერანი“ თბ 1984, გვ130–131

18.ჭუმბურიძე ზ. ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა. გამომც. „მერანი. თბ.1988. გვ:87

19.ხუხაშვილი გ.,ლიტერატურული წერილები. გამომც:“საბჭოთა საქართველო“ თბ. 1970. გვ:96–97

20.ჯანსულ ღვინჯილია. დანიშნულება. ლიტერატურული წერილები. თბილისი მერანი 1987.“გზა სინათლისკენ“ გვ 79–89